# ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით
## ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მტკიცედ გატარების საფუძველზე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: პასუხისმგ. რედაქტორის—24—78, რედ. მოადგილის—23—22, სარედაქციო—10—80, მთ. კანტორის—8—31

შაბათი, 24 თებერვალი 1934 წ. № 47 (3903)

## საბჭოთა სოციალისტური საქართველო
## გაძლიერდა ეკონომიურად და კულტურულად

# საბჭოთა საქართველო 13 წლისაა

საკუთარი სიძლიერის რწმენით, სიამაყის გრძნობით, ნამდვილად გულწრფელი სიხარულით ხვდებიან საბჭოთა საქართველოს მუშები და კოლმეურნეები ამ ძვირფას დღეს, საქართველოს ოქტომბერს — 25 თებერვალს. და განა ცოტაა სამაყო და სასიხარულო?

13 წლის უკან, მენშევიკების ბატონობის პერიოდში, ქვეყანა მოქცეული იყო ინგლისის და გერმანიის იმპერიალიზმის უღელქვეშ, გახვეული სამოქალაქო ომის, მუშათა რევოლუციურ გამოსვლების და გლეხთა აჯანყებების ცეცხლში. მეფის რუსეთის კოლონია, ყაჩაღური ექსპლოატაციის და ძარცვის ობიექტი — საქართველო, საერთაშორისო სოციალდემოკრატიის დასტურით და დახმარებით ქართველმა მენშევიკებმა გადააქციეს იმპერიალიზმის საჯიჯგნად, საბჭოთა რუსეთის მუშების და გლეხების წინაამდეგ, ოქტომბრის რევოლუციის წინაამდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

გრაფი შულენბურგი, გენერალი ფონ-კრესი, ინგლისელი ოფიცრობა, რუსეთის თეთრგვარდიელი გენერლები — აი ვინ წყვეტდა მაშინდელ საქართველოს მშრომელთა ბედიღბალს, აი ვინ მოიწვიეს ქართველმა მენშევიკებმა თავიანთ „დემოკრატიულ სამოთხეში", სადაც განუწყვეტლივ ისმოდა აჯანყებულ მშრომელ გლეხთა წინააღმდეგ ამოქმედებულ ქვემეხების გრიალი და ცეცხლში იწვოდა სოფლები.

საქართველოს მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, რომელმაც გაიგო რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლის აზრი და მიზანი და იგრძნო ოქტომბრის რევოლუციის განმაახლებელი ძალა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დაირაზმა გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მენშევიკების და დასავლეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ. „ჩვენ გვინდა მშვიდობიანად ვიმუშაოთ, მაგრამ როგორ ვიმუშაოთ და რაზე ვიმუშაოთ? სადაა მიწა?" — კითხულობდენ გლეხები. და მშრომელი ხალხის გულიდან მომდინარე ეს კითხვა — „სადაა მიწა?"—მოითხოვდა პასუხს, მოითხოვდა გადაჭრას.

მიწა, ქარხნები და სამუშაო იყო, მაგრამ მენშევიკებმა იგი თავადებს, მემამულეებს და ბურჟუაზიას შეუნარჩუნეს; ამაში კარგად დარწმუნდენ საქართველოს მშრომელები, რომლებმაც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აღფრიალეს პროლეტარული რევოლუციის დროშა განთავისუფლეს თავი მენშევიკებისა და იმპერიალიზმის ყველა სხვა აგენტებისაგან, დაიპყრეს ძალაუფლება.

და აი, 13 წლის გზა გაიარა ჩვენმა საბჭოთა რესპუბლიკამ. ამ 13 წლის განმავლობაში არსებითად შეიცვალა საბჭოთა საქართველოს სახე, მისი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გეოგრაფია, შეუდარებლად ამაღლდა მისი კულტურული დონე. საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ ოჯახში, აზერბეიჯანის და სომხეთის მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით და დიდი ბელადის **ამხ. სტალინის** მეთაურობით. საქართველოს მშრომელები წარმატებით აგებენ უკლასო სოციალისტური საზოგადოების დიად შენობას.

მხოლოდ 13 წელი გავიდა და აბა გადახედეთ საბჭოთა საქართველოს რუკას, შეხედეთ განახლებულ რესპუბლიკას. იგი გამოცვლილია, შეუდარებლად გაზრდილია, გადაკეთებულია ახალ, სოციალისტურ საფუძველზე, მეფის და მენშევიკების [illegible] კოლონიიდან, სადაც თარეშობდენ დასავლეთის იმპერიალიზმის აგენტები და რუსი თეთრგვარდიელები, იგი ახლა გადაქცეულია სოციალისტურ, ინდუსტრიალურ - აგრარულ ქვეყნად, სადაც სოციალისტურ მრეწველობას უჭირავს გაბატონებული, წამყვანი ადგილი (მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში შეადგენს 59,8 პროც., ხოლო სოფლის მეურნეობის — 40,2 პროც.).

საბჭოთა საქართველოში ფართოდ განვითარდა ქვანახშირის და მარგანეცის მრეწველობა, საფუძველი ჩაეყარა ნავთის წარმოებას, შეიქმნა ქიმიური მრეწველობა და მეტალურგიული წარმოება, ათეული ახალი ქარხნები, ფაბრიკები და ჰიდროელსადგურები, გაიზარდა მრეწველობის პროდუქცია და კაპიტალური დაბანდებანი.

ფართო სამრეწველო მშენებლობის გაშლამ არსებითად შესცვალა ჩვენი მრეწველობის სახე; ახლა რესპუბლიკაში მოფენილია ახალი ფაბრიკა - ქარხნები და ელსადგურები; ახლა ჩვენ გვაქვს არამარტო ტყიბულის ქვანახშირი და ჭიათურის მარგანეცი, არამედ ტყვარჩელის ქვანახშირი და ზესტაფონის ფერომარგანეცი; ახლა სურამის უღელტეხილზე საბჭოთა ელექტრომავლებს ამუშავებს რიონჰესის დენი, მთავრდება აჭარისწყალის ჰიდროსადგურის და მეორე რიგის ზაჰესის მშენებლობა; ახლა ბაქოს ნავთს ემატება შირაქის ველის ჭაბურღილებში ამოხეთქილი საქართველოს ნავთი, რომლითაც მოძრაობენ ტრაქტორები, კომბაინები და ავტომობილები. საბჭოთა საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებზე; ახლა ჩვენი მანქანათმშენებელი ქარხნები ამზადებენ მოწყობილობას ჩაის და აბრეშუმის ფაბრიკებისათვის, ეუფლებიან რთულ ტექნიკას; ახლა ჩვენი მსუბუქი მრეწველობა უშვებს მაღალხარისხოვან შალეულს და აბრეშუმის ქსოვილებს; რიტმიულად მოძრაობენ ჩვენი სამკერვალო ფაბრიკების და საკონსერვო ქარხნების დაზგები და მანქანები.

არსებითად შეიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის სახეც. ჩვენ ქვეყანაში [illegible] მდიდარი ბუნებრივი პირობები ტექნიკურ და სპეციალურ კულტურების ყოველმხრივი განვითარებისათვის. ამ პირობების ფართოდ გამოყენების მიზნით ამ წლების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა. ჩაით დაფარულია 33 ათას ჰექტარზე მეტი; თამბაქოს მინდვრები გადაჭიმულია 19 ათასამდე ჰექტარზე; შავი ზღვის სანაპიროებზე — აფხაზეთსა და აჭარისტანში — ხარობს 1,5 მილიონი ცალი ციტრუსოვანი ნარგავი, — ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, ევკალიპტი, ტუნგოს ხე და სხვ.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში დაადგა განვითარების სწორ გზას ჩვენი სოფლის მეურნეობა, სადაც ახლა საბოლოოდ გამაგრდა სოციალისტური სექტორი — საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობათა სახით. საქართველოს მშრომელი გლეხობის მოწინავე ნაწილმა, რომელიც მენშევიკების დროს ეძებდა მიწას და ამ მიზნით ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აჯანყებებს აწყობდა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიიღო ეს მიწა. და იგი მტკიცედ, გაბედულად დაადგა კოლექტიური მიწათმოქმედების ერთადერთ, სწორ და ნაცად გზას, რომელსაც მივყავართ საბოლოო მიზნისაკენ — უკლასო სოციალისტური საზოგადოებისაკენ. კოლმეურნეობებში, რომელთა ხელში ახლა მოქცეულია ძირითადი ტექნიკური და სპეციალური კულტურების წარმოების დიდი ნაწილი, ამჟამად გაერთიანებულია მშრომელ გლეხთა ორმოცამდე პროცენტი; კოლმეურნეთა ფართო მასები და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით უკანასკნელ სამეურნეო წლის შედეგებზე, საბოლოოდ დარწმუნდა საკოლმეურნეო წყობილების დიდ უპირატესობაში. ამგვარად შეიქმნა საბჭოთა საქართველოს სოფელში მტკიცე პოლიტიკური მდგომარეობა, დიდი ნდობა და თავდადება საკოლმეურნეო საქმისათვის, რომელიც მთელი ჩვენი მშრომელი გლეხების საერთო და ღვიძლი საქმეა.

აი ამ მატერიალური ბაზის — სოციალისტური მრეწველობის და სოფლის სოციალისტური მეურნეობის — ზრდის საფუძველზე, დღითი - დღე უმჯობესდება საქართველოს მშრომელთა კეთილდღეობა, მათი საყოფაცხოვრებო პირობები; რესპუბლიკის სამეურნეო ძლიერების საერთო ზრდასთან ერთად იზრდება შეძლებულ მუშათა და კოლმეურნეთა რიცხვი, წერა-კითხვის მცოდნეთა და საშუალო და უმაღლესი განათლების პირთა რიცხვი, ვითარდება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. აი ამ წარმატებებით შევიდა საბჭოთა საქართველო მე-14 წლის მიჯნაზე.

და იგი მე-14 წელში გადადის დიდი და რთული ამოცანების გადაჭრის პერიოდში. მე-17 პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში გარკვევით და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ეს ამოცანები, ნაჩვენებია მათი გადაჭრის ორგანიზაციული გზები და საშუალებანი. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და საყვარელი ბელადის **ამხ. სტალინის** მეთაურობით, ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობს ნაცადი ბოლშევიკი **ამხ. ლ. ბერია**, საქართველოს მუშები და კოლმეურნეები შესძლებენ ამ დიდი ამოცანების წარმატებით განხორციელებას და მტკიცედ გასწევენ წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ სამეურნეო - კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ლენინის პარტია დიდი სტალინის მეთაურობით თანმიმდევრად და სწორად ატარებს ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკას, ამაგრებს და ანვითარებს ნაციონალურ რაიონებს და რესპუბლიკებს. ამ პოლიტიკის წყალობით, საბჭოთა კავშირის მშრომელთა დახმარებით, გაიზარდა და განვითარდა ამიერ - კავკასიის ფედერაციაში საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობა, იგი ავიდა ჯერარნახულ დონეზე. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის პოლიტიკის საფუძველზე, გაიმარჯვეს საქართველოს მუშებმა და მშრომელ გლეხებმა საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლაში; ამ პოლიტიკის საფუძველზე, ლენინ - სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწევენ ისინი ახალ - ახალ წარმატებებს მეორე ხუთწლედის პროგრამის განხორციელებისათვის. უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

# მისალმებანი

## ამიერ-კავკასიის ცაკისაგან

### საქართველოს ს.ს.რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს

საქართველოს მუშებისა და გლეხების მიერ ქართველი მენშევიკების —ევროპის იმპერიალისტების და ინტერვენტების აგენტების — ბატონობის დამხობის და ხელისუფლების დაპყრობის 13 წლის თავზე ა.-კ. ცაკი ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უთვლის საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს მუშებს და მუშა-ქალებს, კოლმეურნეებს და კოლმეურნე ქალებს და ყველა მშრომელს. სოციალისტური მშენებლობის ამ 13 წლის მანძილზე, კაპიტალისტური და მენშევიკური ელემენტების ნაშთებთან გაფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის პროლეტარიატმა, მშრომელ გლეხობასთან ერთად, ამიერ-კავკასიის ფედერაციის სხვა რესპუბლიკების და მთელი დიდი საბჭოთა კავშირის მუშების ძმური დახმარებით, გახადა ყოფილი მეფის კოლონია, ქართველი მენშევიკების მიერ რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატთან ბრძოლის პლაცდარმად გადაქცეული, ს.ს.რ. კავშირის მარგალიტის— ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოწინავე რესპუბლიკად. საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, რომელთაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის მტკიცე ხელმძღვანელობით, წარმატებით დაამთავრეს პირველი ხუთწლედი, საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის მშრომელები შეუდგენ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების განხორციელებას და საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, ამხ. ბერიას მეთაურობით, ისინი სამეურნეო და კულტურულ ფრონტებზე გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევენ.

გამოთქვამს რა აღტაცებას საქართველოს მშრომელების ამ გამარჯვებათა გამო, ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ თავის შემდგომ წინსვლაში საქართველოს მუშათა კლასი და კოლმეურნეები, საქ. ცაკის და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მტკიცე ხელმძღვანელობით, საკ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელების საფუძველზე გადააქცევენ საქართველოს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აყვავებულ მხარედ.

წინ ახალი გამარჯვებებისაკენ!

გაუმარჯოს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სრულიად საქართველოს ცაკს!

გაუმარჯოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე
ს. მარტიკიანი.

## ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოსაგან

საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების 13 წლისთავზე, ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უთვლის საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ყველა მუშას, კოლმეურნეს და მშრომელს.

პარტიის გენერალური ხაზისათვის, მისი ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკისათვის გაუხრელი ბრძოლის გზით, საბჭ. საქ. მშრომელებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე. სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე, მიაღწიეს საწარმოო ძალების უმაღლესი აყვავებას.

საბჭოთა საქართველო ცამეტი წლისთავს ხვდება უდიდესი გამარჯვებით სოციალისტური მშენებლობის საქმეში, რომელმაც სრულიად გარდაქმნა რესპუბლიკა, სადაც შექმნილია მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები.

აგებულია უახლესი კრეკინგ - ქარხნები, ფერომარგანეცის ქარხანა, ცემენტის ქარხნები, ნავთის კოშკები შირაქის ველზე და სხ.

ახორციელებენ რა ვლადიმერ ილიჩის მითითებებს, თეთრი ნახშირის გამოყენების შესახებ რომლებიც მან მოგვცა კავკასიის კომუნისტებისადმი მიმართულ წერილში, საქართველოს მშრომელნი ქვეყნის წყლის მძლავრ რესურსებს ხდიან ელექტროენერგიის ნაკადებად.

ღარიბ - საშუალო გლეხთა ყველა მეურნეობის თითქმის ნახევარი კოლექტივიზებულია და საკოლმეურნეო წყობილება უკვე გაბატონებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეცამეტე წლისთავს საქართველო ხვდება ისტორიულ მომენტში, როცა პარტიამ ლენინ - სტალინის დროშით თავის მე-17 ყრილობაზე შეაჯამა ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული გამარჯვებანი და დასახა უკლასო საზოგადოების აშენებისათვის შემდგომი ბრძოლის გზები.

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ, გადადიან რა მე-14 წელში, საქართველოს მშრომელები უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავიანთ რიგებს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და მისი დიდი ბელადის ამხ. სტალინის გარშემო, წარმატებით გადალახავენ ყველა სიძნელეს და ბრწყინვალედ შეასრულებენ მეორე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გეგმას.

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მუსაბეკოვი.

## საქ, კ. პ. (ბ) ც. კ-ს და სახკომსაბჭოს

ერევანი, 22 თებერვალი. სომხეთის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო თქვენი სახით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უთვლიან საქართველოს პროლეტარებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელს საბჭოთა საქართველოს 13 წლის თავზე.

საბჭოთა საქართველოს მშრომელნი, რომელთაც თავი დააღწიეს ბურჟუაზიულ მენშევიკურ უღელს, ამიერ - კავკასიის მშრომელებთან ხელიხელჩაკიდებული საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის და საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, ნაცადი ბოლშევიკის ამხ. ლ. ბერიას მეთაურობით, აშენებენ უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას, იძლევიან ამიერ-კავკასიის ყველა ერის მშრომელთა ძმობის ლენინური პოლიტიკის ნიმუშებს.

იზრდება და მაგრდება სოციალისტური საბჭოთა საქართველო, იზრდება და მაგრდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ძმური ფედერაცია —საბჭოთა კავშირის ფორპოსტი აღმოსავლეთის საზღვრებთან.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ჩვენს დიდ სტალინს!

სომხეთის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.
სომხეთის ს.ს. რ-ის სახკომსაბჭო.

## აზერბეიჯანის ცაკისაგან

მხურვალე ბოლშევიკური სალამი მოძმე საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 13 წლისთავზე!

აზერბეიჯანის მუშათა და კოლმეურნეთა სახელით ვისურვებთ შემდგომ წარმატებებს ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში მარგანეცის, ქვანახშირისა და ჩაისათვის ბრძოლაში, სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და მძლავრი გაქანებისათვის, ბოლშევიკური კოლმეურნეობებისა და შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის სუბტროპიკული კულტურების ფართო განვითარებისათვის, კოლხიდის ათვისებისათვის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლაში.

ჩვენ დარწმუნებული, — ვართ, რომ საკ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელი მასების დაუღალავი ენერგია და შემოქმედებითი ენტუზიაზმი, წინსვლასთან ერთად, კიდევ უფრო გაიზრდება.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ ინტერნაციონალურ კავშირს — ამიერ - კავკასიის ფედერაციას — ლენინ - სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ზეიმს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის ბელადს — ჩვენს ღვიძლს, დიდ სტალინს!

აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარე — ეფენდიევი.

## სომხეთის ცაკისაგან

ცაკის პრეზიდიუმი საბჭოთა სომხეთის მშრომელთა სახელით მხურვალედ ესალმება და ულოცავს არსებობის 13 წლისთავს მოძმე საბჭოთა საქართველოს, რომელიც ძლევამოსილად მიემართება სოციალიზმის გზით და, კომუნისტური პარტიის და დიდი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, ახორციელებს გიგანტურ სოციალისტურ მშენებლობას.

ვაშა საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ) და მის ბელადს ამხ. სტალინს!

ცაკის თავმჯდომარის მოადგილე დაშტოიანი.

# აფხაზეთის ბოლშევიკებმა თამბაქოსათვის ბრძოლის სანიმუშო მაგალითები უნდა გვიჩვენონ

## თამბაქოს გეგმების ვადაზე შესრულება საფრთხეშია

(წერილი აფხაზეთიდან)

აფხაზეთის ზოგიერთ რაიონში საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას დღემდე არ ეწევა კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობა.

მაგ. **გუდაუთის რაიონის**, მუგუძირის სას. საბჭოში შემავალ კოლმეურნეობა „ამთმა" გეგმით თამბაქოსათვის უნდა მოხნას 14 ჰექტარი. მიუხედავად იმისა, რომ ეს კოლმეურნეობა მუშა - ხელითა და გამწევი ძალით. უზრუნველყოფილია — მას 15 თებერვლისათვის მოხნული ჰქონდა მხოლოდ **ერთი ჰექტარი**. აღნიშნულმა კოლმეურნეობამ ვერ გამოიყენა ცოცხალი გამწევი ძალა. 10 დღის განმავლობაში (მზიანი ამინდი იყო) 22 უღელ ხარკამეჩიდან მათ სამუშაოზე არცერთი უღელი არ გამოიყვანეს.

კოლმეურნეობა „აბარაში" შრომის დისციპლინის დაცემამ ის შედეგი მოგვცა, რომ 73 შრომისუნარიანი წევრიდან სამუშაოზე გამოდიოდა მხოლოდ 15-მდე კაცი. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ამ კოლმეურნეობაში ცუდადაა სათბურების მოწყობის საქმეც. კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ამხ. ჟიბომ** „კომუნისტის" ბრიგადას განუცხადა თითქოს სათბურებისათვის მას უკვე მოლიანად მზად აქვს ჩარჩოები. სინამდვილეში კი, ბრიგადის გამორკვევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ კოლმეურნეობას აკლია 80 ჩარჩო. ამხ. ჟიბომ ამით სცადა თვალი აეხვია ბრიგადისათვის, მაგრამ მას ეს არ გაუვიდა.

ასეთივე მდგომარეობაა კოლმეურნეობა „ალაშორიაში", სადაც ჯერ კიდევ **არ შესდგომიან სათბურების ჩარჩოებში მინების ჩასმას.** 4 ჰექტარიდან მათ მოხნული აქვთ მხოლოდ ნახევარი ჰექტ., 15 შრომის უნარიანი წევრიდან სამუშაოზე ცხადდება მხოლოდ 11-მდე კაცი.

**ოტხარის** სას. საბჭოში შემავალ კოლმეურნეობა „უბანში" თამბაქოს სათბურების მოსაწყობად ნიადაგი ჯერ კიდევ არ არის მომზადებული, 8 ჰექტარიდან თამბაქოსათვის მოხნულია 1,5 ჰექტარი, ჩარჩოებში არ წარმოებს შუშების ჩასმა, სამუშაოზე გამოდის მუშა - ხელის 50 პროცენტი, ცოცხალი გამწევი ძალა გამოუყენებელია.

— რა გვეჩქარება, მოვასწრებთ, დრო ბევრი გვაქვს დარჩენილი — უპასუხისმგებლობით აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ჩანბა.

ოჩემჩირის რაიონი, მიუხედავად იმისა რომ აქ **სამანქანო სატრაქტორო სადგური არსებობს**, დიდათ ჩამორჩა თამბაქოს **სათბურების მომზადების საქმეში.**

**აფხაზეთის ცაკის დადგენილებით**, სათბურების მშენებლობა (ჩარჩოებში მინების ჩასმა, კოლოფების მოწყობა და სხვ.) უნდა დამთავრებულიყო მიმდინარე წლის 15 იანვრისათვის. ეს ვადა უკვე კარგა ხანია გავიდა, მიუხედავად ამისა ოჩემჩირის რაიონში სათბურების მშენებლობის გეგმა კიდევ არ არის შესრულებული. 14250 ცალი ჩარჩოდან 12 თებერვლისათვის გამოყენებული იყო მხოლოდ 3144. ცუდადაა მდგომარეობა მინების ჩასმის მხრივ. მინები ჩასმულია მხოლოდ 230 ჩარჩოში.

უპასუხისმგებლობით და დაუდევრობით ეპყრობიან მინების გამოყენების საქმეს. გზაში გადაზიდვის დროს მინებს არ უფრთხილდებიან. მაგ. **12 თებერვალს, ოჩემჩირის რაითამბაქკონტორის მომარაგების განყოფილების გამგის ამხ. ჩაკირიას** განკარგულებით ტამიშის სასოფლო ამხანაგობისათვის ავტო მანქანა ზედმეტად იქნა მინით დატვირთული. ამის გამო გზაში ავტომობილიდან გადმოვარდა ორი ყუთი მინა და დაიმსხვრა. **ჩაკირიას** ამ მდგომარეობისათვის არ მიუქცევია ყურადღება. ტამიშის სასოფლო ამხანაგობის თავმჯდომარე კიუტმა მოტანილი მინების ნაწილი მოათავსა შეუფერებელ ადგილას და უყურადღებოდ მიატოვა.

სულ სხვა მდგომარეობაა **გალისა და გაგრის** რაიონებში. გალის რაიონში პარტიული ორგანიზაციების და სამ. - სატ. სადგურის **პოლიტგანყოფილების** კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობის შედეგად. გეგმით გათვალისწინებულ 2360 ჩარჩოდან მიღებული იქნა 2160 ჩარჩო რომელიც თავის დროზე განაწილდა კოლმეურნეობებს შორის. კოლმეურნეობებს ჩარჩოები უკვე მოწყობილი აქვთ. ამ რაიონში დამკვრელი ტემპებით მიმდინარეობს ჩარჩოებში მინების ჩასმა. თავის დროზე მომზადდა ყველა წინასწარი სამუშაო თამბაქოს სათბურების მშენებლობის დასაჩქარებლად.

**გაგრის** რაიონში 12 თებერვლისათვის 5060 ჩარჩოდან კოლმეურნეობებში გადაგზავნილი იყო 4850, აქედან დაყენებულია 4245 ჩარჩო, მინები ჩასმულია 1528 ჩარჩოში.

გალისა და გაგრის რაიონის მაგალითზე უნდა ისწავლოს ოჩემჩირის რაიონმა.

არა ლაყბობა და თვითკმაყოფილება გეგმების შესრულებაზე, არამედ კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობა თვითეული კოლმეურნეობის მიმართ — აი რა არის საჭირო.

აფხაზეთის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ზემო აღნიშნულ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად უნდა მიიღონ სასწრაფო ზომები.

„კომუნისტის" ბრიგადა
გ. მაჭავარიანი.
დ. ჩხარებიშვილი

## ვიბრძვით თამბაქოს მაღალი მოსავლისა და ხარისხისათვის

(სასოფლო - საბჭოს თავმჯდომარის წერილი)

გასულ წელს ჩვენმა — სასოფლო საბჭომ თამბაქოს რგვისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმები წარმატებით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 70 ჰექ., ნაცვლად, დავრგევით 70 ჰექ., ხოლო თითეული ჰექტარიდან საშუალოდ 44 ფუთის ნაცვლად ავიღეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 60 ფუთამდე თამბაქო.

გეგმით წელს ჩვენ უნდა დავრგოთ როგორც კოლმეურნეობებში, ისე ერთპიროვნულ მეურნეობებში 130 ჰექტარი თამბაქო გეგმები თავის დროზე დავიყვანეთ ცალკე საკოლმეურნეო ბრიგადებამდე და ინდ. მეურნეობებამდე. შემოდგომაზე მძრალად ხვნა ჩავატარეთ 70 ჰექტარზე. 20 თებერვლისათვის უკვე მოხნული გვქონდა ნაადრევად თამბაქოსათვის 98 ჰექტარი ფართობი, დანარჩენს კი დავამთავრებთ უახლოეს დღეებში.

საბჭოს წევრები მიმაგრებული გვყავს ცალკე ბრიგადებზე, უბნებზე და ჯგუფურ განაერთებზე. **ნიკო დავითაშვილს და გიორგი ვარდიაშვილს** დავალებული აქვთ თვალყური ადევნოს სათამბაქო მიწის ხვნის საკითხს, **ონისიძე მოსაშვილი და ლომინა ხელაშვილი** მიმაგრებული არიან ფარდულების მშენებლობაზე. მათვე დავალებული აქვთ ყურადღება მიაქციონ თამბაქოს სათბურებსა და სანერგეებს. ბრიგადებში გამოყოფილი გვყავს სანიტრები, რომლებსაც წინასწარ შევასწავლეთ პირველ დახმარების წესები, მოწყობილი გვაქვს აგრეთვე მოძრავი აფთიაქი.

ვაქირის სას. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ხოსიტაშვილი

ძველი ფარდულები შეკეთებული გვაქვს მთლიანად. ვაგებთ 23 ახალ ფარდულს. სათბურებში და ღია კვლებში დროზე შევიტანეთ ნაკელი. სათბურებში თამბაქოს თესვის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. ინდივიდუალური მეურნეთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ლადო ნანობაშვილი უკვე დათესა ღია კვლებში ხაჩითილე თამბაქო.

კოლმეურნეები და მშრომელი ერთპიროვნული [illegible] დიდი აღტაცებით შეხვდნენ გეგმების განხილვას, ხოლო **მაჭ. ნანობაშვილმა** (ყოფილი მავსიელი) კულაკური საბოტაჟი გასწია და არ მიიღო თამბაქოს მტკიცე გეგმა. ნანობაშვილის საქმე ჩვენ გადავეცით პროკურატურას პასუხისგებაში მისაცემად, მაგრამ იგი ჯერაც არ განუხილავთ.

მეთამბაქოე კოლმეურნეებისა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებისათვის წელს ჩვენ მივიღეთ დიდძალი სამრეწველო საქონელი. შაქარი, ტანისამოსები, ფართალი ფეხსაცმელები და სხვ.

თამბაქოს გეგმების დაყვანასთან დაკავშირებით გაიზარდა კოლმეურნეობებისაკენ ლტოლვა. **ჩამოყალიბდა მე-17 პარტყრილობის სახელობის ახალი კოლმეურნეობა და არსებულ კოლმეურნეობებს შეემატა 105 ახალი წევრი.** უკანასკნელ დღეებში ღარიბ და საშუალო გლეხობას მასობრივად შეაქვთ განცხადებები და ითხოვენ კოლმეურნეობებში მიღებას.

ჩვენი სასოფლო საბჭო უკვე ჩაება სარაიონო კონკურსში თამბაქოს მაღალ მოსავლიანობაზე. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჩვენივე რაიონის **ბოდბისხევის სასოფლო - საბჭო.**

ჩვენ ავიღეთ ვალდებულება. მიმდინარე წელს პროლეტარულ სახელმწიფოს ჩავაბაროთ მეტი და უკეთესი ხარისხის თამბაქო ვინემ გასულ წელს.

სოფ. ვაქირი
სიღნაღის რაიონი.

## სათბურები, და ნიადაგის მომზადებას ჩაშლა მოელის

საქ. მიწათმოქმედების კომისარიატის უკანასკნელი ცნობები მოწმობს, რომ თამბაქოს სამუშაოების მიმდინარეობა არადამაკმაყოფილებელია. თამბაქო ძალიან სათუთი კულტურაა და მისი მოსავლიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმაზე, თუ რამდენად ზუსტად იქნება დაცული მისი თესვის, გადარგვის, დამუშავების და მოსავლის აღების ვადები.

მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობით, 15 თებერვლისათვის თამბაქოსათვის ნიადაგის გამოყოფა კიდევ არ ქონდათ დამთავრებული წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონებს.

**თამბაქოსათვის ნიადაგის პირველი მოხვნა** აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოში უნდა დამთავრდეს 15 მარტამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — 15 თებერვლამდე.

ფაქტიურად **15 თებერვლისათვის ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ჩოხატაურის რაიონებს თამბაქოსათვის ნიადაგის პირველი ხვნა დაწყებულიც კი არ ქონდათ** (ეს საქმე მათ 1 იანვრიდან უნდა დაეწყოთ).

ნიადაგის პირველად მოხვნა ძალზე ჩამორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ხვნა 15 თებერვლისათვის უნდა დაემთავრებიათ. ფაქტიურად 15 თებერვლისათვის **ლაგოდეხის** რაიონს პირველად მოხნული ქონდა 121 ჰექტ., გეგმის მხოლოდ 9,4 პროც., **გურჯაანის** რაიონს 26 ჰექტ., გეგმის 26 პროც. და **ყვარელის** რაიონს — 450 ჰექტარი, გეგმის 50,3 პროც.

**სათბურებში ნიადაგის მომზადება დამთავრებულია ყველა რაიონებში.**

გეგმის თანახმად სათბურებში თამბაქოს ჩათესვა უნდა დამთავრდეს აღმოსავლეთ საქართველოში 1 მარტამდე, აჭარისტანში 20 მარტამდე, ხოლო აფხაზეთში, სამეგრელოში, ჩოხატაურის რაიონში 10 მარტამდე.

15 თებერვლისათვის სათბურებში თამბაქო ჩათესილი იყო 148 ჰექტარზე, რაც გეგმის 8 პროცენტს არ აღემატება. აღმოსავლეთ საქართველოში თამბაქოს სათბურებში ჩათესვის მხრივ ყველაზე ჩამორჩენილია ლაგოდეხის რაიონი, რომელიც თავისი ხვედრითი წონით (აფხაზეთის შემდეგ) მეთამბაქოობის ძირითადი რაიონია მთელს საქართველოში. მას 15 თებერვლისათვის შესრულებული ქონდა გეგმის მხოლოდ 5,8 პროც.

წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონებს სათბურებში თამბაქოს ჩათესვა 15 თებერვალს დაწყებულიც კი არ ქონდათ. ჩოხატაურის რაიონს შესრულებული ქონდა გეგმის მხოლოდ 5 პროც.

**გეგმის თანახმად ღია კვლების** გადაბარვა და ფორმებში მოყვანა 10 თებერვლისათვის უნდა დამთავრებულიყო. ფაქტიურად 15 თებერვლისათვის ღია კვლების გადაბარვის და გაფორმების გეგმა მხოლოდ 62 პროცენტით იყო შესრულებული. ღია კვლების გადაბარვა - გაფორმება დამთავრებული ქონდათ მხოლოდ **აფხაზეთის, ლაგოდეხის, ბორჩალოს და ზუგდიდის რაიონებს**. სიღნაღის რაიონს კი შესრულებული ქონდა გეგმის მხოლოდ 28,2 პროც., ყვარელის რაიონს — 26,4 პროც., გურჯაანისას — 70 პროც., წალენჯიხისას — 80 პროც., ჩხოროწყუსას — 94 პროც., ჩოხატაურისას — 83 პრ. და აჭარისტანს მხოლოდ 5 პროც.

ამიტომ მათ დაუყოვნებლივ უნდა გააძლიერონ მუშაობის ტემპები, და ამასთან ერთად კონკრეტულ - ოპერატიულ ხელმძღვანელობის გზით უზრუნველყონ სამუშაოთა შესრულების მაღალი ხარისხი.

ეს ცნობები მოწმობენ, რომ თამბაქოს გადარგვისათვის მზადების მთელ რიგ გადამწყვეტ უბნებში ჩაშლა მოელის. საჭიროა სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღება სათბურების, ნიადაგის მომზადების, სასუქის შეტანის და თამბაქოს ჯანსაღი ნერგის აღების დასაჩქარებლად.

ნ. ტყემალაძე

# საქართველო მეფის და მენშევიკების დროინდელ კოლონიიდან გადაიქცა სოციალისტურ ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად

## მძიმე მრეწველობა საქართველოში

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში საქართველოს მძიმე მრეწველობა არარას წარმოადგენდა. რა გაკეთდა ამ განვლილ ცამეტი წლის პერიოდში? ამაზე პასუხს იძლევა ის მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს ამ დარგში.

ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქცია შეუძლებელია მძლავრი ელექტროფიკაციის გარეშე. ამიტომ კომუნისტური პარტია განუხრელად ატარებდა და ატარებს ლენინის ელექტროფიკაციის გეგმას. ქვევით მოყვანილი ფაქტები ნათელს ჰყოფს, თუ საბჭოთა საქართველოში რამდენად სწრაფად განვითარდა ელექტრომშენებლობა. 1913 წელს მეფის მთელ რუსეთში რაიონული სარგებლობის ელექტროსადგურთა სიმძლავრე შეადგენდა 170 ათას კვტ-ს. საქართველოში კი ამჟამად არსებული და საექსპლოატაციოდ გასაცემ რაიონულ სადგურთა სიმძლავრე უდრის 90 ათას კვტ-ს, ე. ი. ნახევარზედ მეტი, რაც არსებობდა მთელ რუსეთში ომამდე. ჰიდროსადგურების სიმძლავრის მხრივ საქართველო მიდის კავშირის ისეთ მნიშვნელოვან მსხვილ რაიონების წინ, როგორიცაა შუა ვოლგის მხარე, კაზაკსტანი. შორეულ აღმოსავლეთის მხარე და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აშენდა ზაჰესი, რომელზედაც დაიხარჯა 16 მილ. მან., რიონჰესი, რომელზედაც დახარჯულია 66 მილ. მანეთი. აბჰესი და სხვა. შენდება და უახლოეს დროში უნდა დამთავრდეს ალაზანჰესი, აჭჰესი, სოხუმჰესი, დაჩქარებით უნდა დაიწყოს ხრამჰესის მშენებლობა და სხვა.

ამ მძლავრ ელექტროსადგურების ბაზაზე ჩვენში იქმნება ისეთი მსხვილი წარმოებები, როგორიცაა ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა, ამიერ-კავკასიის რკინიგზების ელექტროფიკაცია და სხვ.

მანქანათმშენებელი მრეწველობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ წვრილ უმნიშვნელო კუსტარულ სახელოსნოებს, რომლებიც არსებობდა ტფილისში. ეხლა კი შექმნილია მთელი რიგი მანქანათმშენებელი ქარხნები, რომლებიც ამზადებენ ისეთ მანქანებსა და მოწყობილობას, რაც აქამდე საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა.

26 კომუნარის სახელობის ქარხანა, რომელიც მენშევიკების დროს იყო პატარა სარემონტო სახელოსნო, ამჟამად წარმოადგენს ნამდვილ მანქანათმშენებელ ქარხანას. იგი ამზადებს მოწყობილობას აბრეშუმისა და ჩაის ქარხნებისათვის. აგრეთვე ამოსახვევ მანქანებს. თურქეთის საფეიქრო კომბინატისათვის და სხვ.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა ამზადებს მოწყობილობას კავშირის ღვინის მრეწველობისათვის. კალინინის სახელობის ქარხანა ამზადებს მეტიხის ნაწარმოებებს, ელექტრომათბობ ხელსაწყობებს, ელექტროშემდუღებელ აპარატებს და სხვ.

ლითონის კონსტრუქციათა ქარხანა ამზადებს რკინის კონსტრუქციებს გადასაცემი ხაზებისათვის, სხვადასხვა მოწყობილობას ჰიდროსადგურებისათვის.

ტფილისში აგებულია ნავთის საბურღავი მოწყობილობის და საგეოლოგო-ძიებითი დაზგების მსხვილი ქარხანა. ავჭალაში შენდება მსხვილი ფოლად-თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც მოგვცემს 45 ათას ტონა სხმულს წელიწადში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა, რომლის წლიური სიმძლავრე უდრის 150 ათას ტონას. მის აშენებლობაზე დაიხარჯა 57 მილ. მან. ზესტაფონის ფერომშენადნობის ქარხანას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასეთი ქარხანა საბჭოთა კავშირში არსებობს ორი — ჩელიაბინსკის და დნეპროვსკის. ზესტაფონის ქარხანა ამ რაიონში ელექტრომეტალურგიული მრეწველობის განვითარების უდიდეს ბაზას წარმოადგენს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მუშაობდა მხოლოდ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები, სადაც ამოღების წესი იყო პრიმიტიული, რის შედეგადაც პროდუქციას ღებულობდენ ძალზე მცირეს. ტყიბულის ქვანახშირის გამოღება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დგება ნამდვილ ტექნიკურ ბაზისზე, ეწყობა შრომის ორგანიზაცია და სხვა, რის შედეგად საგრძნობლად იზრდება ქვანახშირის გამოღება. თუ 1913 წელს ამოღებულ იქნა 72000 ტონა, პირველ ხუთწლედის დასაწყისში 85.000 ტონამდე იზრდება და გასულ წლის 9 თვის განმავლობაში კი აღწევს 110.000 ტონას.

ტყიბულის მაღაროები შევიდა ქვანახშირის მრეწველობის საკავშირო ტრესტის სისტემაში, საიდანაც მიმდინარე წელს მიიღებს საკაპიტალურებს (4.5 მილ. მან.) იმისათვის, რომ ქვანახშირის ამოღება გადაიყვანოს [illegible] მექანიზაციაზე. ამას გარდა ტყიბულის ქვანახშირის გაზიფიკაციის ბაზაზე განზრახულია აზოტ-ტუკის დიდი კომბინატის აგება, რაც ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობას მისცემს სასუქს.

ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობა, რომლის მშენებლობა 1930 წლის იანვარში დაიწყო, მიმდინარე წელს უნდა გადაცემულ იქნას საექსპლოატაციოთ. რომელიც ჩვენს ქვეყანას მისცემს 175 ათას ტონა ქვანახშირს. სამადნეს საერთო ღირებულება 60-62 მილ. მან. აქედან უკვე დახარჯულია 39 მილ. მანეთზე მეტი.

ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს ჭიათურის მარგანეცის გამოღებაში. გატარებულია ტრანსპორტისა და ნაწილობრივ გამოღების მექანიზაცია, გამოყენებულია მბურღავი მანქანები და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჭიათურის მაღაროები წინათ დამოკიდებული იყო საზღვარგარეთის ბაზარზე. ახლა კი საბჭოთა კავშირში, კერძოთ საქართველოში ზესტაფონის ფეროშენადნობის წარმოების განვითარების გამო, მისთვის უზრუნველყოფილია მტკიცე შინაური ბაზარი თავისი პროდუქციის მოხმარებისათვის და იქმნება ახალი წინასწარი პირობები მისი შემდგომი განვითარებისათვის.

მიმდინარე წელს ჭიათურის მაღაროებმა უნდა მიიღოს 11,5 მილ. მან., რითაც უფრო წინ იქნება წაწეული მარგანეცის გამოღების საქმე.

მრეწველობის მთელი რიგი დარგების განვითარებასთან სწრაფი ნაბიჯით ვითარდება საამშენებლო მასალების წარმოებაც. აგებულ იქნა გრანიტის ქარხანა კურსებში, ფიქალის მრეწველობა კახეთში, ცემენტის ქარხანა კასპში, აგურის ქარხნები — გორში, ტერში, ნოსირში, ტფილისში, სტალინისში, გურჯაანში, ზუგდიდში, ღრმაღელეს, ოზურგეთში და სხვაგან. კრამიტის ქარხნები და სხვა. თუ პირველი ხუთწლედის გეგმით ამ დარგში უნდა დაბანდებულიყო 10.700 ათასი მანეთი, სინამდვილეში ოთხი წლის განმავლობაში დაბანდებული იქნა 13 მილ. მან. საამშენებლო მასალების დარგში კაპიტალური დაბანდება კიდევ უფრო საგრძნობლადაა გაზრდილი მიმდინარე წელს.

ნავთის წარმოების საკითხი წარმოიშვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე. ნამდვილი სისტემატიური მუშაობა საქართველოს ნავთის საბადოების გამოკვლევის დარგში დაიწყო 1930 წლიდან.

1930-31 წლის განმავლობაში საქნავთმა გაბურღა დაახლოებით 27.000 მეტრი, რაზედაც დაიხარჯა 30 მილიონი მანეთი.

ნავთის საძიებელი სამუშაოები სწარმოებს შემდეგ რაიონებში:

კახეთში: მირზაანში, მცირე შირაქში, ბოდბის ხევში, ტარიბანში და სხვ. გურიაში: ომფარეთი, გურიანთა. ტფილისის რაიონში: ღრმაღელე, ნავთლუღი. გეოლოგიური საგამოკვლევო მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს მთელ რიგ სხვა რაიონებში.

მინერალური სამთო მრეწველობის დარგში საგამოკვლევო მუშაობა ფართოდ იშლება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ის პირველი ხუთწლედის პერიოდიდან. უკვე მუშაობს ყაზბეგის წარმოება, რომელიც აწვდის მასალას გოგირდმჟავა მრეწველობას, შეიქმნა ფლორიდინის წარმოება, რაც აუცილებელია ნავთის წარმოებისათვის. გუმბრინის წარმოების განვითარებამ მოგვცა საშუალება შევიწყვიტოთ ფლორიდინის იმპორტი. განვითარდა და წინ მიდის ბარიტის წარმოება. თუ 1913 წელს მისი პროდუქცია უდრიდა 2.000 ტონას, 1931-32 წ. მან მოგვცა 35.000 ტონა. ის რიცხვი კიდევ უფრო იზრდება შემდეგ წლებში.

მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის მიმდინარე წელს დაბანდებული იქნება 2 მილ. მან.

იშლება აგრეთვე გეოლოგიური საგამოკვლევო მუშაობა, განსაკუთრებით პირველ ხუთწლედის პერიოდიდან. აღმოჩენილ იქნა მთელი რიგი დიდი სამრეწველო მნიშვნელობის საბადოები, როგორიცაა: ახალციხის რაიონში აღმოჩენილი ქვანახშირი, რომლის მარაგი წინასწარ გამოანგარიშებით უდრის 180 მილ. ტონას. მას შეუძლია დააკმაყოფილოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მოთხოვნილება. ფოთსა და ქობულეთში აღმოჩენილია ტორფის საბადოები, სტალინისის ახლოს — რკინის საბადოები, ქვანახშირის — მთხოჯში (ხონის რაიონი) და სხვ., თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა ხელისუფლება ამ დარგს, ეს სჩანს კაპიტალის დაბანდებიდან. 1923-28 წლების განმავლობაში დაიხარჯა 200.000 მანეთამდე. 1931-32 წლებში კი ორ მილიონ მანეთამდე. კაპიტალის დაბანდება ამ დარგში განსაკუთრებით იზრდება მიმდინარე წელს.

კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს მრეწველობაში ელექტროფიკაციასთან ერთად (მილიონ მანეთებში)



## საქ. მსუბუქი მრეწველობა ახალი ამოცანების წინაშე

მენშევიკების დროს საქართველოში მსუბუქი მრეწველობა ფაქტიურად არ არსებობდა. ის რამდენიმე წვრილი საწარმო, რომლებიც მაშინ ძლივს ბოგინობდენ, კუსტარულ ხასიათისა იყო. რესპუბლიკის ძირითადი ნედლეული, როგორიც მაგალითად, მატყლი, ბამბა, თამბაქო, და სხვ. საზღვარგარეთ მიდიოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიცვალა ქვეყნის სამეურნეო პოლიტიკა და საფუძველი ჩაეყარა მსუბუქ მრეწველობას. პირველ რიგში კი საფეიქრო მრეწველობის ინტენსიურ განვითარებას.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში აშენდა მაუდის ორი ფაბრიკა 175 საფეიქრო დაზგით, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა 234 საფეიქრო დაზგით, მოეწყო სამკერვალო მრეწველობა, გადაკეთდა და გაფართოვდა ფეხსაცმელების მრეწველობა, საფუძველი ჩაეყარა სატრიკოტაჟო და მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოებას.

1932 წელს საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ სულ გამოუშვა 77.600 ათასი მანეთის პროდუქცია, 1933 წელს კი — 86.100 ათასი მანეთისა.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მე-17 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ფართო მოხმარების საგნების გამოშვების ორჯერ-სამჯერ გადიდებისათვის დასახა შემდეგი ღონისძიებანი:

წელს ამუშავდება ქუთაისის აბრეშუმის ახალი ფაბრიკა, რომლის საპროექტო სიმძლავრე უდრის 500 საფეიქრო დაზგას. ფაბრიკის მშენებლობა დაიწყო 1932 წელს.

განზრახულია ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის გაფართოება და რეკონსტრუქცია: გაუქმებული იქნება საპრეტორო-სამღებრო საამქრო და მის ნაცვლად მოხდება საქსოვი საამქროს გაფართოება. ფაბრიკის სიმძლავრე 1937 წლისათვის აყვანილი იქნება 600 დაზგამდე.

1934 წლის საწარმოო - საფინანსო გეგმის თანახმად წელს აბრეშუმის ქსოვილი საქართველოში გამოშვებული უნდა იქნეს 2.154 ათასი მეტრი, ანუ 15,8 პროც. მეტი, ვიდრე 1933 წელს. ადგილობრივი ბამბის ბაზაზე განზრახულია აგებულ იქნეს ტფილისში ბამბის კომბინატი 66 ათასი თითისტარით; კომბინატის წლიური სიმძლავრე 25 მილიონი მეტრი ქსოვილი.

მატყლის მრეწველობის დარგში გადაწყვეტილია ხალიჩების წარმოების მექანიზაცია: ამ მიზნით ტფილისში აიგება დიდი მექანიკური ფაბრიკა.

ამჟამად საქართველოში მუშაობს ფეხსაცმელების სამი ფაბრიკა, რომელთა წლიური ნაყოფიერება უდრის 1.550 ათას წყვილ ფეხსაცმელს. ამ მიზნით, რათა ფეხსაცმელების წარმოება დაუახლოვდეს მოხმარების ბაზრებს და დაკმაყოფილებულ იქნეს მუშათა და გლეხთა გაზრდილი მოთხოვნილება. 1933 წელს დაიწყო ახალი მძლავრი ფაბრიკის აგება ტფილისში, რომელიც წლიურად გამოუშვებს 6.500 ათას წყვილ ფეხსაცმელს. ფაბრიკა დაჯდება 15 მილიონ მანეთად, აქედან მიმდინარე წელს ათვისებული იქნება 8,5 მილიონი მანეთი.

საქართველოს სამკერვალო მრეწველობაში ამჟამად 5 სამკერვალო ფაბრიკაა. ამათგან ორი ახალი ფაბრიკა მუშაობს ბათომსა და ქუთაისში, დანარჩენი სამი — ტფილისში. 1934 წლის გეგმით საქართველოს [illegible] მრეწველობამ უნდა მოგვცეს 40 მილიონი მანეთის პროდუქცია. გასულ წელს ტფილისში დაიწყო მძლავრი სამკერვალო ფაბრიკის აგება, რომლის წლიური ნაყოფიერება 40 მილიონი მანეთის პროდუქციით განისაზღვრება. ფაბრიკა დაჯდება 3.200 ათას მანეთად, ნაწილობრივი ამუშავება განზრახულია წელს.

სატრიკოტაჟო წარმოების დარგში, მიუხედავად მრავალფეროვანი ნედლეულის არსებობისა (ბამბა, მატყლი, აბრეშუმი), მუშაობს მხოლოდ ერთი ფაბრიკა, რომელიც მოწყობილია სანახევროდ გაცვეთილი მანქანებით. გადაწყვეტილია არსებული ფაბრიკის რეკონსტრუქციის ჩატარება; მოხდება მისი სპეციალიზაცია ზედა ტრიკოტაჟის გამოშვებაზე. რეკონსტრუქციის შემდეგ ფაბრიკა წლიურად გამოუშვებს 1000 ტონამდე პროდუქციას (30—35 მილიონი მანეთის ღირებულებით). პირველი რიგის რეკონსტრუქცია დაიწყება წელს.

საქართველოს სახელმწიფო მუსიკალური მრეწველობა ფაქტიურად ჩამოყალიბდა 1932 წელს კუსტარული სახელოსნოს ბაზაზე. 1933 წელს ფაბრიკამ გამოუშვა 1000 სიმებიანი ინსტრუმენტი, 238 გარმონი და 56 პიანინო. მუსიკალური ინსტრუმენტების ეს რაოდენობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას.

საქართველოში მრავლად მოიპოვება ხის ისეთი ჯიში, რომელიც გამოსადეგია მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოებისათვის. ეს საშუალებას იძლევა ფართოდ გავაშალოთ, ასეთი წარმოება. გადაწყვეტილია ტფილისში აშენდეს კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკა, რომელიც თავისი ხასიათის მიხედვით [illegible] შემკრები საწარმო იქნება. ფაბრიკა ყოველწლიურად გამოუშვებს ათას პიანინოს და როიალს. ფაბრიკის დაპროექტება დაიწყო გასულ წელს.

ფართო კულტურული რევოლუცია დიდ მოთხოვნილებას უყენებს პოლიგრაფიულ მრეწველობას. პირველ ხუთწლედში ამ დარგში მიმდინარეობდა წვრილი საწარმოების შეკრება და კონცენტრაცია.

საქართველოს მოთხოვნილებას ბეჭდვითი ნაწარმოებზე ამჟამად აკმაყოფილებს უმთავრესად ტფილისი, სადაც თავმოყრილია 15 პოლიგრაფიული საწარმო. პოლიგრაფიული მრეწველობის ბაზის გასაფართოებლად და არსებული სტამბების ტექნიკური მოწყობილობის გასაუმჯობესებლად შარშან დაიწყო „წიგნის სახლის" და პოლიგრაფტრესტის გაერთიანებული სტამბის მშენებლობა, სადაც თავმოყრილი იქნება ტრესტის სამივე სტამბა. კომბინატის პირველი რიგის მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე წელს და დაჯდება 3 მილიონზე მეტი.

1933 წელი საქართველოს მსუბუქი მრეწველობისათვის იყო ინტენსიური ახალი მშენებლობის და რეკონსტრუქციის წელი. გაკეთდა ბევრი, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. პარტია უდიდესი მნიშვნელობის ამოცანას აკისრებს მსუბუქ მრეწველობას მეორე ხუთწლედში. ეს ამოცანაა — ფართო მოხმარების საგნების გამოშვების ორჯერ - სამჯერ გადიდება და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება. ამ ამოცანის შესრულებისაკენ უნდა იყოს მიპყრობილი მსუბუქი მრეწველობის პარტიული, საბჭოური, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი ყურადღება.

საქართვ. მრეწველობის პროდუქციის ზრდა (ათას მანეთებში)



## რა ავაშენეთ და რას ვაშენებთ

### რიონჰესი

სრული სიმძლავრე, 48 ათასი კილოვატი. ამუშავებულია ორი ტურბინი, ერთიც ახლო ხანში შევა ექსპლოატაციაში. მშენებლობის ღირებულება 86 მილიონი მანეთი.

### ფერომარგანეცის ქარხანა

სრული სიმძლავრე 150000 ტონა (18 ღუმელი), საამშენებლო ღირებულება 57 მილიონი მანეთი, ამუშავებულია სამი ღუმელი. პირველი რიგის დანარჩენი სამი ღუმელი ამუშავდება 1934 წლის დამლევს. ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანას უდიდესი საკავშირო მნიშვნელობა აქვს. მის გარდა საბჭოთა კავშირში ფეროშენადნობის მხოლოდ ორი ქარხანა არსებობს (ჩელიაბინსკისა და დნეპროპეტროვსკისა).

### აგარის შაქრის ქარხანა

სიმძლავრე — 10.000 ცენტნერი დღე-ღამეში. ქარხანა დაჯდა 12 მილიონ მანეთად.

### ქუთაისის საკონსერვო ფაბრიკა

სიმძლავრე —20 მილიონი ქილა საამშენებლო ღირებულება 6 მილიონი მანეთის, რომლიდანაც უკვე დახარჯულია 4 მილიონი.

### ნავთის საბურღავი მოწყობილობის ქარხანა

მშენებლობის ღირებულება 14 მილიონი მანეთი, სიმძლავრე —35 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც რამდენჯერმე აღემატება საქართველოში ამჟამად არსებულ ლითონის ყველა სახის მთელ პროდუქციას. ეს ქარხანა წარმოადგენს ნავთის საბურღავი მოწყობილობის მეორე უმსხვილეს საწარმოს საბჭოთა კავშირში

### საშენი მასალების საწარმოები

ამ ხაზით გადაცემულია საექსპლოატაციოდ რამდენიმე საწარმო, მათგან ყველაზე მსხვილია: ღრმაღელის აგურის ქარხანა—10 მილიონი ცალი აგურის სიმძლავრისა, ღირებულება 1,7 მილიონი მანეთი და სურამის კირის ქარხანა—10.000 ტონა სიმძლავრისა.

### ბუნებრივ სალებავთა ქარხანა ბათომში

ერთადერთია საბჭოთა კავშირში. სიმძლავრე—600 ტონა მაღალხარისხოვანი სალებავები. დღევანდლამდე ეს სალებავები საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა. მშენებლობის ღირებულება 1,5 მილიონი მანეთი.

### ბათომის სამკერვალო ფაბრიკა

15 მილიონი მანეთის პროდუქციით (სამ ცვლად მუშაობით).

### ტყვარჩელი

ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების სრული სიმძლავრე 1 მილიონი ტონა ქვანახშირის ამოღება წელიწადში. დახარჯულია 39 მილიონი მანეთი.

### ფოლადის და თუჯის ჩამოსხმელი ქარხანა

ქარხანა შენდება ავჭალაში. სრული სიმძლავრე—45 ათასი ტონა სხმული, 22 მილიონი მანეთის პროდუქცია. სრული ღირებულება 17 მილიონი მანეთი. პირველი რიგი (ფოლადის ჩამომსხმელი საამქრო 10 ათასი ტონა პროდუქციით) ექსპლოატაციაში შედის 1934 წლის პირველი კვარტალის დამლევს.

### ბათომის მანქანათმშენებელი ქარხანა

ეს ქარხანა დაამზადებს ჩაის ფაბრიკების მოწყობილობას. სრული სიმძლავრე 11 მილიონი მანეთის პროდუქცია, ღირებულება—5,5 მილიონი მანეთი. პირველი რიგი 3 მილიონი მანეთის პროდუქციით ექსპლოატაციაში შედის 1934 წელს.

### მარგანეცის გამარეცხველი ფაბრიკა ჭიათურაში

სიმძლავრე 150.000 ტონა, ღირებულება 1,950 ათასი მანეთი, ექსპლოატაციაში შედის 1934 წლის მაისში.

### ავტოსარემონტო ქარხანა ტფილისში

სიმძლავრე ორცვლაზე—1,5 ათასი მანქანის შეკეთება წელიწადში, ღირებულება 11,5 მილიონი მანეთი. ექსპლოატაციაში შედის 1934 წელს.

### ლიტოპონის ქარხანა ქუთაისში

სიმძლავრე—12.000 ტონა. ქარხანას მეორე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში, მშენებლობის ღირებულება 12,5 მილიონი მანეთი. ექსპლოატაციაში შედის 1935 წელს.

### ქიმიკურ - ფარმაცევტული ქარხანა

შენდება ტფილისში. სიმძლავრე 2 მილიონი მანეთის პროდუქცია, ღირებულება 1,8 მილიონი მანეთი, ამუშავდება 1934 წლის მეოთხე კვარტალში.

### ფეხსაცმელების ფაბრიკა ტფილისში

სიმძლავრე 6 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი, მთლიანად მექანიზირებული, ერთერთი დიდი ფაბრიკათაგანი საბჭოთა კავშირში. მშენებლობის ღირებულება 11 მილიონი მანეთი. ექსპლოატაციაში შედის 1935 წელს.

### ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი

სიმძლავრე—4 მილიონი მეტრი ორ ცვლად მუშაობით ღირებულება 4 მილიონი მანეთი. პირველი რიგი ექსპლოატაციაში შედის 1934 წლის ივლისში.

### სამკერვალო ფაბრიკა ტფილისში

სიმძლავრე —50 მილიონი მანეთის პროდუქცია. მშენებლობის სრული ღირებულება 3 მილიონი მანეთი. ექსპლოატაციაში შედის 1934 წლის დამლევს.

### ენგურის ქაღალდის ფაბრიკა

სიმძლავრე —24 ათასი ტონა ქაღალდი. მშენებლობის ღირებულება 43,5 მილიონი მანეთი. დახარჯულია 10,7 მილიონი მანეთი. ექსპლოატაციაში შედის 1935 წელს.

### ტფილისის ქაღალდის ფაბრიკა

სიმძლავრე —3 ათასი ტონა (იმუშავებს მაკულატურაზე). ღირებულება 3,2 მილიონი მანეთი ექსპლოატაციაში შედის 1934 წელს.

### მაკარონის ფაბრიკა ტფილისში

სიმძლავრე 10 ათასი ტონა, ღირებულება 1,8 მილიონი მანეთი, გადაცემული იქნება საექსპლოატაციოდ 1934 წლის მეორე კვარტალში.

### მარგარინის ქარხანა

სიმძლავრე—6 ათასი ტონა. ღირებულება 3 მილიონი მანეთი. ქარხანა უკვე ამუშავდა.

### საფქვავი კომბინატი ტფილისში

სიმძლავრე —200 ტონა ხორბლეულის გადამუშავება დღე-ღამეში, მშენებლობის ღირებულება 5 მილიონი მანეთი. ნაწილობრივი ექსპლოატაცია დაიწყება 1934 წელს.

### მოლიბდენის სამუშაოები რაჭაში

მაღალხარისხოვანი და სპეციალური ფოლადების წარმოებისათვის გამოსაყენებელი იშვიათი ლითონის მოლიბდენის საბადო კოროშში თითქმის ერთადერთია საბჭოთა კავშირში თავისი სიდიდით და აქვს უდიდესი საკავშირო მნიშვნელობა. დამუშავებაში დაბანდებული იქნება 9 მილიონი მანეთი. მიმდინარე წელს გაჩაღდება გაძლიერებული მშენებლობა, გადადებულია 2,5 მილიონი მანეთი. აგებული იქნება მაღაროები, გამსუფთავებელი ფაბრიკა და ჰიდროსადგური ჩებარში. 1935 წელს გადაცემული უნდა იქნეს საექსპლოატაციოდ.

## მენშევიკების დღენი საქართველოში

როცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში დაიწყო იდეური უთანხმოება, რომელსაც მოჰყვა მისი გათიშვა ორ ფრთად: მენშევიკებად და ბოლშევიკებად, ბევრს გადამეტებულად ეჩვენებოდა ის სიცხარე, რომლითაც ლენინი იცავდა რევოლუციური მარქსიზმის პრინციპებს.

მოვლენათა შემდგომი განვითარება რკინისებური ულმობელობით ადასტურებდა ბოლშევიკური ხაზის სისწორეს.

ისტორია საუკეთესო მასწავლებელია. მან გადაწყვიტა გამოცდილებით ეჩვენებინა, თუ როგორ მიჰყავდათ ბოლშევიზმის იდეებს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე და სოციალიზმის აშენებამდე და როგორ ამოჰყო მენშევიზმმა თავი კონტრ - რევოლუციის ბანაკში, როგორც მუშათა კლასის ინტერესების გამყიდველებმა.

ქართველი მენშევიკები რუსეთის სოციალ - დემოკრატიაში — პირწავარდნილი ოპორტუნიზმის წარმომადგენელნი იყვნენ მათ წილად ხვდათ თავისი პროგრამის განხორციელებით დაემტკიცებინათ მენშევიზმის კონტრ-რევოლუციური რაობა.

სამი წელიწადი არგუნა წილად ისტორიამ მენშევიკებს, რომ მათ საბოლოოდ და სამუდამოდ გამოემჟღავნებინათ თავისი კონტრ-რევოლუციური ბუნება.

დაამყარეს რა თავისი ძალაუფლება, მენშევიკებმა ვერ შესძლეს ვერც ერთი მტკივნეული საკითხის გადაჭრა, უკეთ რომ ვთქვათ, ისინი ამ საკითხებს სწყვეტდენ არა მუშების და გლეხების ინტერესების, არამედ წინანდელი გაბატონებული კლასების ინტერესების სასარგებლოდ. სრულიად შეხმატკბილებულად მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებისათვის მებრძოლ ინტერვენტებთან, რომლებიც მენშევიკებმა მოიწვიეს „დემოკრატიული რესპუბლიკის" დასაცავად „აღმოსავლეთის ფანატიკოსებისაგან".

ცნობილია, რომ საქართველოში ფეოდალიზმის, ბატონ-ყმობის ნაშთები მეტად ძლიერი იყო, რომ გლეხობა მემამულური ჩაგვრის უღელქვეშ იტანჯებოდა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ განაწამები გლეხობა მოელოდა საუკუნოებრივი ფეოდალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებას. მაგრამ მენშევიკური მთავრობა ყურს უგდებდა არა გლეხების ხმას, არამედ იმ გერმანული სარდლობის ხმას, რომელიც თავად-აზნაურებს იცავდა.

გლეხები განცხადებას განცხადებაზე უგზავნიდენ გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრს. ატყობინებდენ, რა რომ მემამულეები წინანდებურად მოითხოვენ საშარო გადასახადს, გლეხები წერდენ: „ჩვენ გვინდა მშვიდობიანად ვიმუშაოთ. მაგრამ როგორ ვიმუშაოთ და რაზე ვიმუშაოთ. სადაა მიწა"?

გლეხთა მენშევიკური ცენტრი მუდამ ერთდაიმავე პასუხს აძლევდა: „ამ საკითხის გადაჭრა არ შეგვიძლია დამფუძნებელ კრებამდე", „გამოვა დეკრეტი მიწის შესახებ".

უარს ეუბნებოდენ რა გლეხებს მათ კანონიერ მოთხოვნებზე, მენშევიკები მუდამ ჰფარველობას უწევდენ თავადებს.

1917 წელს ქარელის უბნის კომისარმა გლეხების კატეგორიული მოთხოვნით დააპატიმრა თავადი მ. დ. ციციშვილი იმისათვის, რომ 1905 წელს მან გასცა მთელი რიგი რევოლუციონერები, რომლებიც ციმბირში გადაასახლეს, აგრეთვე მოსახლეობას შორის პროვოკაციულ მუშაობას ეწეოდა იმ დროს.

მენშევიკების საგანგებო საგამომძიებლო კომისიამ — „ვერ ჰპოვა რა ბოროტმოქმედება ვერც ერთ და ვერც მეორე შემთხვევაში" — გაათავისუფლა ციციშვილი.

თავად ციციშვილს მიეცა მოწმობა იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს იცხოვროს, სადაც სურს და ვინც ამაში ხელს შეუშლის — სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნება მიცემული [1].

თავად-აზნაურობის დაცვის თვალსაჩინო მაგალითები უფრო და უფრო არწმუნებდა გლეხობას მენშევიკური მთავრობის მოღალატეობაში და აიძულებდა მას მშვიდობიანი პეტიციების ნაცვლად შესდგომოდა მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას. მათ საძოვრებზე პირუტყვების ძოვებას და უარი ეთქვა იჯარის გადახდაზე.

მენშევიკების სამხედრო კომისრები განგაშს სცემდენ, ემუდარებოდენ ცენტრს — გამოეგზავნა სამხედრო ნაწილები, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება უძლური იყო. შულავერიდან იტყობინებოდენ, რომ გლეხები შეიარაღებული ძალით ხელში იგდებენ მემამულეთა მიწებს, ანგარიშს არ უწევენ მთავრობის განკარგულებებს „დაჯერების მეთოდი არ მოქმედებს, ადგილობრივი ძალებით უწესობების აღკვეთა შეუძლებელია, საჭიროა ჯარის ნაწილების სწრაფად გამოგზავნა, რათა თავიდან აცილებულ იქნეს მოსალოდნელი დიდი არეულობა" [2]. ანალოგიური დეპეშები იგზავნებოდა სხვა რაიონებიდანაც.

ქართველი მემამულეები ატუზული იყვნენ გრაფ შულენბურგის [3], გენერალ ფონ-კრესის [4] კარებთან, რათა „სამღვთო უფლებების" დაცვას გლეხების თავდასხმისაგან.

გერმანიის სარდლობა იმუქრებოდა, რომ ამ საკითხს გადაჭრის „გერმანიის ჯარის შეიარაღებული ძალებით".

ამ მუქარაზე მენშევიკურმა მთავრობამ, გამოჭიმულმა გერმანელი ჯენერლების წინაშე, უპასუხა:

„მთავრობა დგას არსებული კანონების მტკიცედ შესრულების [illegible]. ამ კანონების თანახმად მემამულეებს უფლება აქვთ მიიღონ მამულებიდან კუთვნილი შემოსავალი".

ასე გადაჭრით უჭერდა მხარს მენშევიკური მთავრობა მემამულეთა პრივილეგიების შენარჩუნებას.

გლეხების უკმაყოფილება იზრდებოდა.

ხოლო იქ, ჩრდილოეთში, გამობრწყინდა გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი!

ტელეგრაფს მოჰქონდა ცნობები მუშების და გლეხების გამარჯვებათა, საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტების შესახებ.

ეს ცნობები აღელვებდა გლეხებს, აღფრთოვანებას იწვევდა მათში.

„კავკასკი რაბოჩის" კორესპონდენციებში პროვინციიდან წერდენ: „საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემულმა დეკრეტმა მიწისა და ზავის შესახებ, ბევრი მომხრე ჰპოვა".

საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტების პოპულარობა ქართველ გლეხებს შორის აშინებდა მენშევიკებს და ისინი ცდილობდენ ეს მოქმედება აღეკვეთათ ბოროტი ცილისწამებით.

მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა. მიუხედავად ამ ცილისწამებისა, პროვინციიდან ბოლშევიკების ხელმძღვანელობა იღებდა ცნობებს: „გლეხები ასობით და ათასობით გადმოდიან ჩვენს მხარეზე, ხედავენ რა ჩვენში ჭეშმარიტ რევოლუციურ პარტიას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ მუშებს და ღარიბ გლეხებს" [5].

ასე ხდებოდა საქართველოს გლეხობის ბოლშევიზაცია იმ ცნობების ზეგავლენით, რომლებსაც ღებულობდენ ისინი საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა შესახებ.

როგორ გადაჭრა მენშევიკურმა მთავრობამ მუშათა საკითხი?

აქაც იგივე ამბავი.

სიძვირის ზრდა, სპეკულიაციის განვითარება, ბონების მერყეობა— იწვევდა შიმშილს და მუშათა კლასის გაღატაკებას. უკვე 1917 წლის ზაფხულს ყველა საწარმოში წამოიჭრა კონფლიქტები მუშებსა და მეწარმეთა შორის. მუშები ჯერ კიდევ არ ჰკარგავდენ იმის იმედს, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა „დემოკრატიული" წყობილების ჩარჩოებში.

ამ კონფლიქტების აუცილებელი შედეგი იყო ყველაზე უფრო „მოუსვენარი" მუშების დათხოვნა, მათი დაპატიმრება და გადასახლება „დემოკრატიული რესპუბლიკის" საზღვრებიდან და სხვ.

პროფესიული კავშირების ბელადები იდგნენ მეწარმეებთან შეთანხმების გზაზე, ისინი, მუშათა ინტერესების დაცვის ნაცვლად ცდილობდენ დაეჯერებინათ მუშები, რომ გაფიცვები არ არის მიზანშეწონილი, რომ ისინი ზიანს აყენებენ სახელმწიფოს და ძირს უთხრიან მის ძლიერებას.

იმ კავშირების მიმართ, რომლებიც ცდილობდენ მუშათა ინტერესების დაცვას, იყენებდენ რეპრესიულ ზომებს, ახდენდენ მათ გადარჩევას, აძევებდენ იქიდან, ყველას, ვისზედაც კი ეჭვი ჰქონდათ, რომ ისინი თანაუგრძნობენ ბოლშევიკებს და შეჰყავდათ მენშევიკური პოლიტიკის სანდო გამტარებლები.

ქმნიდა რა „საკონფლიქტო კომისიებს" შრომასა და კაპიტალს შორის წარმოებული ბრძოლის საკითხების მოსაგვარებლად, მენშევიკური მთავრობა ემსახურებოდა მეპატრონეთა ინტერესებს.

კრიზისი ღრმავდებოდა, შრომის ნაყოფიერება ეცემოდა.

მთავრობა ყველაფერში ბრალს სდებდა მუშებს.

შრომის მინისტრმა გ. ჰ. ერაძემ პროფესიულ კავშირთა თათბირზე თავის მოხსენებაში შრომის ნაყოფიერების დაცემის საკითხზე რომ შეეხო, პირდაპირ განაცხადა, ამაში დამნაშავენი არიან მუშები, ეს ხდება „მათი უკულტურობის და წარმოებისადმი შეუგნებელი დამოკიდებულების გამო".

მინისტრის მოხსენების გამო გამოსული პროფკავშირთა „ბელადები" ამტკიცებდენ, რომ მუშებს შორის ადგილი აქვს „ზნეობრივ თავაშვებულებას", რომ ისინი არ მუშაობენ, არამედ „ლაზღანდარობენ", საჭიროა მიეუთითოთ მუშებს მათ მოვალეობაზე შრომის, მრეწველობის და წარმოების მიმართ".

როგორც სოფლად ავიწროებდენ გლეხებს მემამულეთა გულის მოსაგებად, ისე ქალაქად ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ ჩასჩიჩინებდენ მუშებს: საჭიროა კაპიტალის წინაშე მოვალეობის პირნათლად შესრულებაო. ეს იწვევდა იმას, რომ მუშების ბრძოლა დამქირავებლებთან ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ღებულობდა ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხდებოდა მუშების ბოლშევიზაცია.

ნაციონალური საკითხი წარმოადგენდა ერთ-ერთ წყალქვეშა კლდეს, რომელზედაც დაიმსხვრა მენშევიკების გემი.

გაბატონებული ერის ინტერესებისათვის ისინი ავიწროებდენ ნაციონალურ უმცირესობებს, გზავნიდენ ექსპედიციებს აჭარისტანის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის წინააღმდეგ, რომლებიც იცავდენ ნაციონალური თვითგამორკვევის უფლებებს.

სამხრეთ-ოსეთის აწიოკება და მთავრობის გადაწყვეტილება საქართველოს საზღვრებიდან ყველა ოსის გადასახლების შესახებ, ოსეთის მიერ თვითგამორკვევის მოთხოვნის საპასუხოდ, — წარმოადგენს იმის მკაფიო ილუსტრაციას, თუ როგორ გადაბარგდენ მენშევიკები კონტრ - რევოლუციის ბანაკში, იმპერიალისტური ბურჟუაზიის ბანაკში, ბურჟუაზიის, რომელიც თავის კეთილდღეობას ამყარებს მცირე ეროვნებათა ჩაგვრაზე.

ამ პოლიტიკამ ძალიან ჩქარა გამოიღო თავისი ნაყოფი. იზრდებოდა მუშებისა და გლეხების უკმაყოფილება, რაც ღებულობდა სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს. გადაუჭრელი საკითხები აჩრდილივით დგებოდენ მენშევიკების წინაშე და დაჟინებით მოითხოვდენ გადაჭრას.

რა ზომებს ღებულობდა მთავრობა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა, მახლობელი საფრთხე?

ამის პასუხს ჩვენ ვპოულობთ ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის გეგეჭკორის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა სეიმის ერთ-ერთ სხდომაზე.

„ამიერ-კავკასიის კომისარიატი არსებითად წარმოადგენდა არა საკანონმდებლო და მთავრობის ორგანოს, არამედ არც მეტ არც ნაკლებ სახანძრო მილს".

მენშევიკების ფეხქვეშ ნიადაგი იწვოდა, მაგრამ ეს ხანძარი სულ სხვა ხასიათის იყო.

რამდენადაც უფრო ძლიერ მოქმედებდა ბრანდმაიორ ჟორდანიას სახანძრო მილი, მით უფრო ღვივდებოდა ცეცხლის ალი. ახლოვდებოდა რევოლუციის ტალღები, სანამ არ წამოვიდა მეცხრე ტალღა.

მაშინ ისტორიამ უთხრა მენშევიკებს: კმარა, საგნობრივი გაკვეთილი დამთავრდა, თქვენი ბატონობის სამი წლის განმავლობაში თქვენ რუსი, გერმანელი და ინგლისელი გენერლების დახმარებით საკმაოდ სძარცვეთ ქვეყანა. ამიერიდან შეგიძლიათ მიბრძანდეთ სანაგვე ყუთში უვარგისობისათვის.

საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს მენშევიკური მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

ა. ბუტირინი

---

[1] საქართველოს ცენტრარქივი. [illegible] ფონდი, № 3, საქმე 1511.

[2] საქ. ცენტრარქივი, საქმე 1800, 1917 წ. ფურც. 36.

[3] შულენბურგი—გერმანიის ელჩი საქართველოში.

[4] ფონ-კრესი გერმანიის სამხედრო [illegible] მეთაური.

[5] „კავკასკი რაბოჩი" 1917 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საქართველო
# ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების ბაღნარი

## ნამდვილი აყვავების დასაწყისი

მეფისა და შემდეგ მენშევიკების ბატონობის პერიოდში გაპარტახებული, დაქვეითებული და უბარაქო საქართველოს სოფლის მეურნეობა ნამდვილი აყვავების და სწრაფი ტემპებით განვითარების გზას დაადგა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე.

თავად აზნაურებისა და მემამულეების განდევნამ, მიწების ნაციონალიზაციამ, საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო სატრაქტორო სადგურების და კოლმეურნეობების მშენებლობის გაშლამ საშუალება მოგვცა ძირფესვიანად აღმოგვეფხვრა საქართველოს სოფლის მეურნეობაში პატრიარქალურ - ფეოდალური ურთიერთობის ნაშთები, გაგვედიდებინა ნათესი ფართობი, აგვეწია მოსავლიანობა.

ტექნიკური შეიარაღების გაძლიერებას ჰქონდა და აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა წვრილი დაქუცმაცებული და ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მარტო ის ფაქტი, რომ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღების გაძლიერებაზე დაბანდებულია ორას მილიონ მანეთზე მეტი, მოწმობს თუ როგორი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის დაჩქარებული ტემპებით განვითარებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში თუ ჩვენი სოფელი სრულიად არ იცნობდა ტრაქტორს, ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. საქართველოს სატრაქტორო პარკი ამჟამად აერთიანებს 1669 ტრაქტორს, პირველი ხარისხოვანი მექანიზებული მისაბმელი ინვენტარით და სარემონტო სახელოსნოებით. მოწყობილია **81 სამანქანო სატრაქტორო სადგური**, რომელნიც თანდათან ხდებიან სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ორგანიზატორებად. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურებას უწევენ ათასობით კოლმეურნეობებს დაახლოვებით ორი მესამედს.

საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლამ და სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების განხორციელებამ მოგვცა შესაძლებლობა ჯერ არნახული ტემპებით გაგვეშალა **ტექნიკური და სუბტროპიკული წარმოშობის კულტურათა განვითარება, რომელიც ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ნედლეულ ბაზის განმტკიცების საფუძველს წარმოადგენს.**

## საბჭოთა სუბტროპიკებში

### ჩაი

**მთელ საბჭოთა კავშირში საქართველო არის ერთად ერთი რაიონი სადაც შეიძლება სუბტროპიკულ კულტურებისა და ციტრუსოვანი ხეხილეობის ფართო სამრეწველო მასშტაბით განვითარება.**

**ჩაის** ეკუთვნის ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ჩაის მცენარე თუ უმთავრესად წარმოადგენდა დეკორატიულ იშვიათობას, ამჟამად იგი დასავლეთ საქართველოს რაიონების უმრავლესობაში **გადაქცეულია ძირითად წამყვან კულტურად.**

დასავლეთ საქართველოს გლეხური მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სახნავ - სათესი მიწების ნაკლებობის და დაბალი მოსავლიანობის გამო ყოველწლიურად განიცდიდა სასურსათო მარცვლეულის მწვავე დეფიციტს **ახლა ჩაის კულტურის განვითარების შემდეგ იქ, არა თუ უზრუნველყოფილია მოსახლეობა მარცვლეულით, არამედ კოლმეურნე გლეხობა მასიურად ყიდის კიდეც ზედმეტ მარცვლეულს.**

ამიტომ სრულიად არ არის გასაკვირი, თუ ჩაი მიუხედავად იმისა, რომ იგი არის უაღრესად შრომის ტევადი კულტურა, სწრაფი ტემპებით ვითარდება. 1922 წლისათვის საქართველოში ჩაის კულტურების საერთო ფართობი შეადგენდა სულ 1.159 ჰექტარს. ამჟამად კი ჩვენ გვაქვს ჩაის პლანტაცია 33.444 ჰექტარის რაოდენობით. საქართველოში **მოწყობილია 16 ჩაის დიდი საბჭოთა მეურნეობა** 9000 ჰექტარამდე ჩაის პლანტაციით და 812 ჩაის კოლმეურნეობა, რომელნიც აერთიანებენ 60.000-ზე მეტ გლეხურ მეურნეობას.

თითქმის სრულიად (ცარიელ ადგილზე შექმნილია ჩაის მძლავრი მრეწველობა, რომელიც წარმატებით ეუფლება ჩაის მზა პროდუქტის გამომუშავების ტექნოლოგიურ პროცესებს და ასწრებს ჩაის მთელი ნედლეულის ადგილობრივ გადამუშავებას. 1933 წელს საქართველოში არსებულ ჩაის ფაბრიკებმა გადაამუშავეს 3164 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი და გამოუშვეს 1.400 ათას კილოგრამამდე მზა ჩაი.

საქართველოს პარტორგანიზაციებს დაეკისრათ მეტად საპატიო ამოცანა მეორე ხუთწლედში უზრუნველყონ ძირითადად მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრივ. ამ საბრძოლო ამოცანის განსახორციელებლად წარმატებით იბრძვიან ჩაის რაიონების კოლმეურნეთა მასები და საბჭოთა მეურნეობების მუშები. ჩაის ფართობის გადიდების მხრივ მოპოვებულია დიდი წარმატებები. ახლა ძირითად ამოცანად არის დასმული **ჩაის მოსავლიანობის გადიდება.** უკანასკნელი წლის განმავლობაში ამ საქმეს ემჩნევა მნიშვნელოვანი გაუმჯობესებანი. სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში ერთ ჰექტარზე საშუალოდ ჩაის მოსავლიანობა გადიდდა 300 კილოგრამზე მეტით.

მეორე ხუთწლედში ჩაის რაიონების ძირითად საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს ჩაის არსებული პლანტაციების ეფექტიურად ათვისების მეოხებით მიაღწიონ მოსავლიანობის ორჯერ და სამჯერ გადიდებას.

ეჭვი არაა, რომ ჩაის რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობანი, რომელთაც მომსახურეობას უწევს მძლავრი სატრაქტორო პარკი და რომლითაც აქვთ ჩაისათვის ბრძოლის მდიდარი გამოცდილება, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და პოლიტგანყოფილებების ხელმძღვანელობით შეძლებენ ბოლშევიკურად შეასრულონ პარტიის და ხელისუფლების დავალება ჩაის კულტურის შემდგომი განვითარებისა და მისი კულტურულად ათვისების შესახებ.

## საქართველო—ფლორიდა

### ციტრუსები

ციტრუსოვან ხეხილს — მანდარინას, ლიმონს და ფორთოხალს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შეხვდებოდით მხოლოდ თითო ოროლა ცალობით და ისიც თავადების, მემამულეების, კაპიტალისტების ბაღებში. საუფლისწულო უწყების მამულებში და აჭარისტანის ხან-ბეგების ეზოებში.

**ყველა ჯიშის ციტრუსოვანი ხეხილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში აღრიცხული იყო სულ 300 ჰექტარის რაოდენობით. ამჟამად კი ციტრუსოვანი ხეხილის ნარგავები საქართველოში 2.900 ჰექტარამდე აღწევს.** მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 100 მილიონ ცალზე მეტი მანდარინი. ასეთი მოსავალი პირველია საქართველოში.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონა (შავი ზღვის სანაპიროები) მოკიდებული ოსმალეთის საზღვრებიდან აფხაზეთამდე ჩათვლით წარმოადგენს საუკეთესო ადგილს ისეთი ძვირფასი ციტრუსოვანთა განსავითარებლად, როგორიცაა მანდარინა, ლიმონი, ფორთოხალი, გრეიფრუტი და სხვ.

სწორედ ამიტომაა, რომ მთელი პარტია და პირადად ამხ. **სტალინი** განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ციტრუსოვანი ხეხილის განვითარებას. მიღებულია ყველა ზომა იმისათვის, რომ ციტრუსები გაშენდეს არა მარტო საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, არამედ თითეულ კოლმეურნისა და ერთპიროვნულ მეურნის, თითეული მუშის საკარმიდამო ნაკვეთებზე, სადაც კი ხელისშემწყობი პირობები არსებობს.

ციტრუსები დასავლეთ საქართველოს ჰავისა და კლიმატის პირობებში ისეთი რენტაბელურია, რომ მთელი მშრომელი მოსახლეობა დიდი ინტერესით კიდებს მას ხელს. 1933 წელს იყო მრავალი შემთხვევა, როდესაც ერთი მეურნეობის შემოსავალი ციტრუსოვან ნარგავებიდან აღწევდა 3 ათასიდან 30 ათას მანეთამდე. აქედან ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ციტრუსებს როგორც მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების, ისე მთელი სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით.

ციტრუსების განვითარებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლხიდის ჭაობების დაშრობის საკითხს. ის ადგილები, რომელიც დღემდე დაფარული იყო გაუვალი ჭაობით და რომელიც ავი მალარიის ბუდეს წარმოადგენდა, სულ ახლო მომავალში იქცევა ციტრუსების აყვავებულ ბაღად.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოვაწყოთ ციტრუსების დიდი სანერგეები, დავეუფლოთ ამ ძვირფასი კულტურის აგროტექნიკას და გადავაქციოთ დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული—ზონა საბჭოთა კალიფორნიად და ფლორიდად.

## თამბაქო, ბამბა, ჭარხალი

სუბტროპიკული წარმოშობის კულტურებთან ერთად, საქართველოში წარმატებით ვითარდება აგრეთვე ისეთი ტექნიკური კულტურები, როგორიცაა თამბაქო, ჭარხალი, ბამბა და სხვ. თამბაქოსა და ბამბის ნათესი ფართობი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. თამბაქოს ფართობი მაგ. გადიდდა დაახლოებით 75 პროცენტით. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღმოჩენილ საწარმოო დახმარების მეოხებით, სამრეწველო მეთამბაქოება განვითარებულ იქნა მთელ რიგ ახალ რაიონებში გარდა აფხაზეთისა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში დაიწყო სწრაფი აღმავლობა თამბაქოს მოსავლიანობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. 1933 წელს ვადამდე და გადაჭარბებით იქნა შესრულებული თამბაქოს დამზადების სახელმწიფოებრივი გეგმა.

მთავრობისა და პარტიის მიერ მიღებულია ყველა ზომები თამბაქოს მოსავლის აწევისა და ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. არსებობს ყველა ტექნიკური და მატერიალური პირობები იმისათვის, რომ ეს ამოცანა წარმატებით იქნეს შესრულებული.

რაც შეეხება **შაქრის ჭარხალს**, ის კულტურა ჩვენში სავსებით ახალია, მაგრამ როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, მას მეტად დიდი მომავალი აქვს. 1932 წელთან შედარებით ჭარხლის საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე გაიზარდა 23 ცენტნერიდან 70 ცენტნერამდე. ეს მოწმობს, რომ ჭარხლის რაიონების კოლმეურნეთა მასები, სადაც განვითარებულია სამრეწველო მეჭარხლეობა, წარმატებით ეუფლებიან ამ კულტურას.

გარდა ამისა დამტკიცებულია, რომ ჩვენს შაქრის ჭარხალს აქვს უფრო მეტი სინოყივრე და შაქრიანობა, ვინემ უკრაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის ჭარხალს. ყოველივე ეს მოწმობს, რომ იშლება დიდი პერსპექტივები შაქრის ჭარხლის შემდგომი განვითარებისათვის. უკვე **მოწყობილია პირველი შაქრის ქარხანა საქართველოში (აჭარაში). ამჟამად ჭარხლის ნათესი არე 4.000 ჰექტარს შეადგენს.** სარწყავი ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

**ჩაის ფართობის ზრდა ჰექტარებში**



❦

საქართველოში ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების განვითარება - ამაღლებისათვის შექმნილია ყველა წინასწარი პირობები. **ტექნიკური კულტურების ყველა რაიონებში მოწყობილია სამანქანო-სატრაქტორო სადგურები.** უზრუნველყოფილია ეს რაიონები პურით და მიღებულია გადამჭრელი ზომები ტექნიკური კულტურების პროდუქციის ადგილობრივ დამუშავების გასაძლიერებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩაის კულტურის განვითარება საქართველოში სწარმოებდა უმთავრესად დღემდე გაუტეხავი, გამოუყენებელი გვიმრიან - ძეძვიანი ნაკვეთების ათვისების ხარჯზე. სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების გაძლიერებამ და კოლექტიურ შრომამ მისცა საშუალება სოფლის მოსახლეობას გაეტეხა და დაემუშავებია მძიმე ყამირი, რომლის ათვისება შეუძლებელი იყო ერთპიროვნული, დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის არსებობის დროს.

ის ფაქტი, რომ კოლექტივიზაციის ყველაზე დიდი პროცენტი ჩვენ გვაქვს ტექნიკური კულტურების რაიონებში, მოწმობს ღარიბი საშუალო გლეხობის გადაჭრით მობრუნებას ტექნიკური კულტურებისაკენ. ეს მასები ცოცხალი გამოცდილებით დარწმუნდენ ტექნიკური და ციტრუსოვანი კულტურების უდიდეს უპირატესობაში არა რენტაბელურ მარცვლეულ კულტურებთან შედარებით და ამიტომ ეს მასები კოლმეურნეობებში გაერთიანებულნი ყოველწლიურად აძლიერებენ ბრძოლას ძვირფასი ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

საბჭოთა საქართველო ხდება ტექნიკური ციტრუსოვანი კულტურების ქვეყნად. ეს კი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი ამაღლების საწინდარია.

---

ილო მოსაშვილი

## მიწურებიდან — მზეზე, ღირღიტებიდან — კომბაინებზე

> **„ძველი სოფელი მისი საყდრით ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილას, ურიადნიკის, ხუცესის და კულაკის საუკეთესო სახლებით პირველ პლანზე, მისი ნახევრად დანგრეული გლეხური ქოხებით უკანა პლანზე —„ქრება. მის ადგილას ჩნდება ახალი სოფელი... კლუბებით, რადიოთი, კინოთი, სკოლებით, ბიბლიოთეკებით, ბაგებით, ტრაქტორებით და კომბაინებით“...**
>
> **ი. სტალინი**

ნ. ზემოქედის კომუნის ერთმა ხელმძღვანელთაგანმა ამხ. სიმონ ჩოხელმა გადმომცა ეს ხელთნაწერი, რომელიც მას უპოვია 1921 წელს თებერვალში სოფლის მასწავლებლის ბინაზე. ხელნაწერს ავტორის ვინაობა არ აწერია და ასე იწყება:

„უახლოვდები სოფელს და სოფელი არა ჩანს. დგას მხოლოდ ოთხი ქვითკირის შენობა და სოფლის შესასვლელში სამი ფიცრული კიდობანი. სამიკიტნოში ქრიამულია, როგორც წარღვნის დროს ნოეს კიდობანში.

— ა.... ბალამ, ბალამ, ბალამ...

— სიცოცხლე ჩალათ არა ღირს.. იძახის ვიღაც ჩახლეჩილ ხმით — და გულდამწვარ ბაიათს დანჯღრეული არღანი ბანს ეუბნება.

დუქნის წინ შარვალგახეული მიკიტანი იბდაურივით იფხვერება და სველ-სველ ხელადას აწვდის შექეიფიანებულ მთიულების კამპანიას.

მეორე კიდობანს ასე აწერია: „თქვენი ძმის პაპალეი ბედნის დუქანი“. დუქნის წინ მაუზერიან გვარდიელის გინება ისმის.

მესამე კიდობანთან კი პირნაყვავილარი [illegible] უგულოდ ჩხავის და მოწყენილი მიკიტანი, მუშტრის ლოდინში, შურით გასცქერის იღბლიან მეზობლებს.

შუა სოფელზე გძელი, ტალახიანი ორღობე გაჭიმული. ორღობეს მისდევს მიწურები და საკვამლეებიდან ამლილი ლეგა ღრუბელი. შუა ორღობეში კი ამართულა თეთრი საყდარი.

მე და ჩემი მასპინძელი ბურდული ეზოდან მიწური კიბით ხვრელში ვეშვებით და ფართო ორმოში შევდივართ.

შუა ცეცხლის საკომურიდან მკრთალი სინათლე ძლივს იპარება და ნახევარ სიბნელეში გაჭირებით ვარჩევ ადამიანთა სახეებს. მიწური დარბაზი საკმაოდ ფართოა და შუაზე გადაღობილია ხარიხეებით, რომლის იქითაც რქადაგრეხილი ხარები ვეება თვალებს აბრიალებენ.

ამ აკლდამაში წლობით ერთად ცხოვრობენ ცხოველები და ადამიანები. პირუტყვის მაგარი ჯანი უმხეობას უძლებს. — ადამიანები კი ნელ ნელა სჭკნებიან. ფერმიხდილი ბავშვები უსიცოცხლო, [illegible] შემომცქერიან და ცნობისმოყვარეობით მათვალიერებენ..

იმ ღამეს ავი სიზმრები მაწვალებდნენ. მელანდებოდა მიწური ჩატეხილი სათავეები და ტანზე წაყრილი მიწა მაწვებოდა. მეღვიძებოდა და შუა-ცეცხლის მხრჩოლავი კვამლი მიჭამდა თვალებს...

ასე სცხოვრობს მთელი სოფელი. ასე არ ცხოვრობენ მხოლოდ ქოთია, წიკლაური, გიგაური და სხვა ბობოლები, რომელთაც ქვითკირის მაგარი შენობები აუმართავთ, უდგათ მოტორიანი წისქვილები, ზეთის სახდელი ქარხნები და მრავალ ულელა ხარ-კამეჩი უბიათ გუთნეულში.

ამ ტრიალ ველზე მახლობლად სოფელი არსად არი, წისქვილი არავის გააჩნია. გაჭირვებული გლეხი მაშ სად წაიღებს საფქვავს! გიგაურმა ეს კარგად იცის, მუხრუჭს უჭერს და მუშტარს გულდამშვიდებით ეუბნება:

—ერთ ფუთში 20 გირვანქას მამცემ.

გაოცებული გლეხი მას ყბაღია შესცქერის, ხუმრობა ჰგონია.

სად გაგონილა ნახევარი საფქვავი მინდში წაართვან!

მაგრამ გულქვა მეწისქვილე ხუმრობისათვის არ სცალიან და იმედგაცრუებული გლეხი იძულებულია თავის ჭირნახული ბობოლას გაუყოს.

გიგაურს სამკალი მანქანებიც აქვს, გლეხებზე აქირავებს. ერთ დესეტინაზე ათი ფუთი ხორბალი მოაქვს.

სამკალ მანქანებს კანაფი სჭირდება, — გიგაურს კანაფიც აქვს. ერთ ფუთ კანაფში ას ფუთ ხორბალს იღებს.

გიგაურს ზეთის სახდელი ქარხანაც უდგას და ივსება მისი ბეღლები, განზე იწევს მისი სახლის კედლები და კარმიდამოს ღობეები. მისი ნახირი და ფარები ნიაღვარივით ედება შირაქის იალაღებს.

სამასი კომლი სოფელი კი მიწაშია ცოცხლად დამარხული. მიწაში, ნესტში და კვამლში ჩამძვრალი ადამიანები ძროხებთან ერთად ცხოვრობენ და ძროხებივით იხოცებიან...

სოფლის სკოლაც მიწურშია. ბავშვები კუნძებზე სხედან და სწავლას გულს არ უდებენ. ოცდა ხუთიდან თოთხმეტი მოწაფეღა დარჩა. დანარჩენები ღამის მეხრეებად და ეწყამსებად გაგზავნეს მინდორში.

პური აკლია ქვეყანას. აქ ამ მივარდნილ ოდაბნოში ქალაქიდან მოდის ნასწავლი ხალხი და მოაქვს განა სწავლა და ცოდნა!

დადიან ორღობეებში და მკლავზე გადაკიდებული დააქვთ ხალათები და შარვლები. პერანგები და პერანგის ამხანაგები დააქვთ და სცვლიან ხორბალზე და გამომცხვარ პურზე.

ბობოლები დასცინიან ნასწავლ ხალხს და ღარიბ გლეხებს გულს უცრუებენ:

— აჰა, ესეც ნასწავლი ხალხი. ხედავთ, როგორ მათხოვრებივით ეზო-ეზო დაწანწალებენ!

ოცდა ხუთიდან თოთხმეტი ბავშვიღა დარჩა, თოთხმეტიც წაიყვანეს სკოლიდან, წიგნები თაროებზე შეყარეს. პატარა ქოჩორა ბიჭები ეწყემსებად და ლამის მეხრეებად გაგზავნეს მინდორში.

მინდორში კი ხუთულელა ხარ-კამეჩი ძლივს მიათრევს მამაპაპურ ღირღიტა გუთანს და უბარაქო შრომით მოქანცული გუთნიდედა თავის გაჩენის დღეს წყევლის.

მიწურებში მხოლოდ ძუძუთა ბავშვები და ქალები დარჩნენ.

გიგაურის წისქვილი დღე და ღამ გრიალებს.

და საღამოობით, როცა თხუნელები სოროებში ჩაძვრებიან, სოფელს ედება მწუხრის ზარის ხმა და „პაპალეის“ სამიკიტნოში აჭყივლებული არღნის ხმაური“.

❦

უცნობი ავტორის რვეული დავხურე და კოლმეურნეების უზარმაზარ ორსართულიან საცხოვრებელ სახლის აივნიდან ზემოქედის მიწურებს, საყდარსა და სამიკიტნოებს დავუწყე ძებნა.

შუა სოფელზე ლარივით გაბმულა დიდი, ფართე ქუჩა, რომელსაც მწკრივად მისდევენ თეთრად შეღესილი ახალთ-ახალი სახლები და ხეივნიანი ეზოები.

სოფლის შუაგულში ჩამჯდარა უძველესი კოლმეურნეობა, რომლის საცხოვრებელი ბინები, საწყობები, სახელოსნოები, წისქვილები და ქარხნები ახალი ქვეყნის ციხე-ბურჯებივით ამართულან ძველი მიწურებისა და გომურების ადგილას...

— ლენინის გარდაცვალების დღეს ჩავარდა პირველი მარცვალი, ამხ. კოფა ჩოხელმა შეგვყარა სამი-ოთხი უღარიბესი გლეხი: მე, ალექსი კობაიძე და ბასილ ქავთარაძე,— მიყვება კოლმეურნეობის ერთი ორგანიზატორთაგანი, ნამოჯამაგირალი ამხ. სიმონ ჩოხელი.

— ზამთრის ღამე იყო. წელმოწყვეტილები ვისხედით ქოხში და მძიმე დანაკლისიდან გამოსავალს ვეძებდით. ბევრი ვიფიქრეთ, ავწონ დავწონეთ და ბოლოს გადავწყვიტეთ შეერთებული შრომით დაგვეწყო ცხოვრება.

მათ თავისი აზრი სხვა გლეხებსაც გაუზიარეს. ბევრმა გვერდი აუქცია და უცნაური განზრახვა სიცილადაც არ ეყო, თითო-ოროლას კი მათი სიტყვა ჭკუაში დაუჯდა და მხარში ამოუდგა.

ოთხი კაცი მალე ოცად იქცა, ოცი ოცდახუთმეტად და პირველ სოციალისტურ კერას ზემოქედში მტკიცე საძირკველი ჩაეყარა.

ბობოლებმა მაშინვე იცნეს სახიფათო მეტოქე და ჩანასახშივე გადასწყვიტეს მისი ჩაკვლა, მაგრამ ვერც პირდაპირი, ვერც ფარული ბრძოლით ვერაფერი გააწყეს.

კოლმეურნეობა ზღაპრულ გმირივით იზრდებოდა. მას უერთდებოდენ ღარიბ გლეხების ახალი ჯგუფები, მატულობდა მისი ნახნავ-ნათესი, იზრდებოდა მოსავალი, ივსებოდა ბეღლები, მრავლდებოდა ნახირი, ჯოგი და ფარა.

მათ მაგალითს მალე მახლობელმა სოფლებმაც მიბაძეს. საკოლმეურნეო მშენებლობა ფართოდ გაიშალა და რკინის სალტეებში მომწყვდეულმა კულაკობამ აშკარა და პირდაპირი ბრძოლისთვის აილო იარაღი. მან ამ ბრძოლაში გაიყოლია საშუალო და ღარიბი გლეხობის ნაწილიც.

ერთ მუჭა კოლმეურნეებს ალყა შემოარტყა ბობოლებისა და მათ მიერ გაბრიყვებულ შეუგნებელ გლეხების მრავალრიცხოვანმა შეიარაღებულმა ბრბომ.

ეს იყო ზემოქედელი კოლმეურნეების ყველაზე მაღალი საბრძოლო გამოცდა.

— დიდი გველი მოვკლათ, წიწილები თითონ გაწყდებიან,—მძვინვარებდენ ბობოლები და მიზანში ზემოქედის უძველესი კოლმეურნეობა ჰქონდათ, რომელსაც ყველა ბოროტების სათავედ სთვლიდენ.

მაგრამ სოციალისტური მინდვრების ენთუზიასტებმა კულაკურ ლაშქარს რკინის გაურღვეველი კედელი შეახვედრეს. ორმა ათეულმა კომუნარმა ორმოცჯერ უფრო მრავალრიცხოვანი მტერი შეიარაღებულ ბრძოლაში სამარცხვინოდ დაამარცხა და უკუაქცია.

ქედელმა კოლმეურნეებმა კოლექტიური დოვლათი და ჭირნახული მტაცებლების თავდასხმისაგან და თავისი სოციალისტური კერა განადგურებისაგან გადაარჩინეს.

❦

და აი ეხლა, სოფლის შუაგულში, იქ, სადაც ანდრია ღვდელს და ხევისბერ ივანე ბექაურს „წმინდა“ სამიკიტნო ჰქონდათ აღმართული და მორწმუნე მთიული კურატით და ზედაშით ფეხმძიმე შედიოდა საყდრის ეზოში, უცნაური ქრიამული და გუგუნი დამდგარა.

კოლმეურნეობის მანქანების შეკეთების სახელოსნოში ნამწყემსარი ბიჭები, მარჯვედ ატრიალებენ რკინის ხრახნილებს და საგაზაფხულო თესვისათვის ლესავენ გუთნებს.

სახელოსნოს გვერდით გრიალებს კოლმეურნეობის წისქვილის ლოკომობილი, წისქვილის ახლათახალ ქვითკირის ფართე შენობაში სავსე ტომრების მთებია ამართული.

კოლმეურნეს ამხ. პატაშურს ჯერ კიდევ არ დავიწყებია კულაკ გიგაურის წისქვილი, რომლის ვეება ქვები მის ზურგზე ტრიალებდენ.

— ძმობამ, ბევრჯელ მინახავს იმას წისქვილთან ცხარი ცრემლით ატირებული გლეხი, — თავის ქნევით მეუბნება ამხ. პატაშური და გულიანად იცინება.

ეს წისქვილი კი ქედელი კოლმეურნეების საერთო საკუთრებაა, მისი შემოსავალი საერთო ბეღელში მიდის, ამიტომ მესაფქვავენი ფრთხილად დასტრიალებენ თვითეულ ღვედსა და ჭახრაკს, თავს ევლებიან ქვისა და რკინის თვითეულ ნაჭერს.

წისქვილს გვერდით ამოსდგომია ზეთის სახდელი ქარხანა, ზეთის სახდელს—სახერხი ქარხანა, სახერხს—მანქანა-იარაღების უზარმაზარი საწყობი.

უცქერ და გიხარიან.

რა იქნა ის ჭვარტლიანი მიწურები, რომლებშიც თავის უგემურ სიცოცხლის დღეებს ლევდენ ქედელი მწყემსები.

მწყემსებმა კი არა ცხოველებმაც უარი სთქვეს გომურებზე.

აი ის ახლათახალი საქონლის თავლა, ქვითკირის მაღალი კედლებით, მზიანი ფანჯრებით და ჰაერის საწმენდებით. აქ ცხოვრობს კოლმეურნეობის მთელი მუშა-საქონელი, აქ ისვენებს საშემოდგომო ხვნაში დაღლილი ხარ-კამეჩი და საგაზაფხულო ბრძოლებისთვის ემზადება.

ქედელი გლეხის მიწურის გვერდით, ბევრჯელ მინახავს უცნაური ბეღელი-გოდორი. გოდორი ქვევრის მსგავსად იყო მოწნული და კედლები საქონლის ნაკელით ჰქონდა შელესილი.

გლეხი მაშინ ღირღიტა გუთნით სჩიჩქნიდა მიწას და ბეღელიც ამის შესაფერი ჰქონდა. ამ შემოდგომაზე კი ძველი კოლმეურნეების მინდვრებს, მუშა საქონელთან ერთად, შირაქის საბჭოთა მეურნეობის სამოცდათექვსმეტი მძლავრი ტრაქტორი ხნავდა.

ნაკელით შელესილი გოდრები, ველარ იტევს სოციალისტურ მინდვრების მოსავალს, ახალი ბეღლები და ელევატორებია საჭირო.

და ქედელმა კოლმეურნეებმა თავის სახელოსნოების და ქარხნების გვერდით დადგეს ქვითკირის ბუმბერაზი საკოლმეურნეო ბეღელი.

წელს მათ 1.000 ჰექტარი ნახნავ ნათესი აქვთ, შემოდგომის ხნულებზე უკვე ბიბინებს პირველი ჯეჯილი. ახალი მარაქიანი მოსავალი მოდის. მოდის მაგრამ მომკალი აღარ ეყოფა ყანებს, აღარ ეყოფა სამკალი მანქანები აღარ ეყოფა სალეწები.

და ქედელ კოლმეურნეებს თავისი უფროსი ძმის— შირაქის საბჭოთა მეურნეობის იმედი აქვთ. მათი მინდვრები ერთმანეთს ჰკვდევს და როცა 80 ახლათახალი კომბაინი მეურნეობის 12 ათას ჰექტარს მოათავებს, მერე მათ მინდვრებს მიეშველება.

❦

შუა სოფელში მედიდურად ამართულან კოლმეურნეების ორსართულიანი სახლები.

ადამიანები ძლივს ამოძვრენ მიწურებიდან, ფერმიხდილმა ბავშვებმა ბრიალა მზე დაინახეს, შუაცეცხლია კვამლზე ჩამოსისხლური თვალები გადაეწმინდათ და დღემდე უცნობი სიხარულით აჟრიალდენ.

უზარმაზარი შენობები მზის სხივებში ბანაობენ და ფანჯრებიდან ოთახის აყვავებული მცენარეები იცქირებიან.

ვათვალიერებთ ბინებს, რომლებიც ერთმანეთს სისუფთავეში ეჯიბრებიან. ყველგან კრიალა იატაკი, თეთრად გადატკეცილი ტახტები და ბელადების პორტრეტებით დამშვენებული კედლები.

კოლმეურნე ქალებს თვალის გამწყალებელი ნემსი და ძაფი საკეროვ მანქანებით შეუცვლიათ, ამხ. [illegible] ჩოხელს კი მთის ქალის ტრადიციულ ხელსაქმეზე არ აუღია ხელი და მზიან დერეფანში თვალწარმტაც ფერადებით შეზავებულ ფარდაგს ქსოვს.

საერთო სასადილოში კი პიანინო წკრიალებს. სოროდან ამომძვრალი მთიული გოგონა მუსიკის გაკვეთილს სწავლობს და საამო მელოდია ეფინება საერთო საცხოვრებლის ეზოს. შენობის თავზე კი, მინდვრის ნიავი ნელა არხევს ცაში ატყორცნილ რადიოანძებს და მავთულების ქსელზე თავის სიმღერას მღერის.

ჰაერი უცნაურმა ქრიამულმა გაარღვია და სოფლის შარაზე ჩანთიანი ბავშვები გამოიშალენ გუნდებად.

— ეს ჩვენი შვიდწლედია,— გამარჯვებული ღიმილით მითხრა ამხ. სამსონ ჩოხელმა,—ექვსასზე მეტი ბავში სწავლობს, ბინები არ გვყოფნის და ეხლა ვაშენებთ ორმოცოთახიან სკოლის შენობას.

რა დიდი ცვლილებაა.

25 და 600.

„პაპალეის“ სამიკიტნო, მოშლილი არღანი, ანდრია ღვდელი და ექიმბაში ხევისბერი—ივანე ბექაური.

— მახსოვს სოფელში წითელა გაჩნდა, ოცდაათამდე ბავშვი იმსხვერპლა, ქალებმა „ბატონების“ გალიზიანების შიშით ექიმი არ გააჭაჭანეს, — მეუბნება ამხ. ჩოხელი.

ახლა კი თვითონ კოლმეურნე ქალების მოთხოვნით მოეწყო საექიმო პუნქტიც და აფთიაქიც.

ექიმი უწევს მუდმივ მეთვალყურეობას კოლმეურნეობის საბავშვო ბაღს და საბავშვო ბაგას.

პატარა კოლმეურნეები თავიდანვე ეჩვევიან ერთად ცხოვრებას და შრომას. კოლმეურნე დედები კი საკოლმეურნეო მინდვრებზე ვაჟკაცებს უდგანან გვერდში და უკეთესი ცხოვრებისთვის იბრძვიან გმირულად.

❦

უძველესი კოლმეურნეობის გამარჯვებამ საკოლმეურნეო მოძრაობის მძლავრი ტალღა ააგორა მთელ სოფელში. სოფლის ხუთ უბანში, ხუთი ახალი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა და მშრომელი გლეხობის უდიდესი ნაწილი საერთო შრომისთვის გააერთიანა.

ქედის მინდვრებიდან უკვალოდ გაქრა ჩამამაპეული ღირღიტა გუთანი, ფეშტამალაკრული მუჭით მთესველი გუთნისდედა, კალო და კევრი, ნაკელით შელესილი ბეღელი გოდორი, მიწურები და გომურები. ასეა დღეს ქედში.

მძლავრი სტალინგრადელი რკინის ვაჟკაცები მიათრევენ ხუთსახნისიან გუთნებს და მიწის შიგნეულს აბრუნებენ, მწკრივად მთესველი მანქანები მისდევენ ხნულებს და [illegible] და გაწმინდულ თესლს ჰფენენ, და როცა მოსავლით ათქვირებული ყანა, სამკალად დამწიფდება, გაჩნდებიან უცნაური მანქანები და შრომის ბარაქით გაჟღენთილ ველებს ერთბაშად მოლოკავენ.

მაშინ ჩვეულებრივი ურემიც უვარგისია, კომბაინის ავსილი ბუნკერი წითელი დროშით ეძახის ავტომანქანას, რომ ყელამდე მომდგარი კრიალა ხორბლის ხვავი სოციალისტურ ბეღელში გაატანოს.

ქედელ კოლმეურნეებს ავტომანქანები აკლდათ. ეხლა ამ დანაკლისსაც ირჩენენ. კოლმეურნეობის ორგანიზატორს ამხ. კოფა ჩოხელს მოსკოვიდან უკვე მოაქვს საბჭოთა ხუთ ტონიანი ავტომანქანები.

მორჩა, ზემო ქედელი მწყემსები მიწურებიდან საბოლოოდ ამოვიდენ მზეზე, ღირღიტა გუთნებიდან ტრაქტორებზე გადაჯდენ მტვრიან კალოებიდან - კომბაინებზე გადაინაცვლეს და ბოლოს, ეხლა, მამაპაპურ ურმებსაც ავტომობილებით სცვლიან.

აღარსად სჩანს „ბედნი პაპალეის“ სამიკიტნო“ აღარც ანდრია ღვდელი და ხევისბერი ბექაური აღარც კულაკი გიგაური, მისეულ კარმიდამოში ეხლა შვიდწლედია და ექვსასი სიცოცხლით სავსე ბავშვი ხარბად დასწაფებია ცოდნას, რომ ბნელი ცხოვრების უკანასკნელი ნარჩენები ძირიანად ამოგლიჯოს ადამიანის გულიდან და შეგნებიდან...

ათი კილომეტრით გავეცალეთ ქედს და შირაქის მინდვრებიდან კიდევ დიდხანს სჩანდა შუა სოფელში ამართული ხარაჩოები და ხარაჩოების თავზე გადმოფენილი დიდი წითელი დროშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავსტრიის სოციალ-ფაშისტების ბელადებმა
## საბოლოოდ გამოამჟღავნეს თავიანთი გამცემლობა
### „ჩვენ ყოველივე ღონე ვიხმარეთ დოლფუსთან კომპრომისის გამოსანახავად!“

**ვარშავა, 22 თებერვალი.** ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ბელადების მოღალატურ როლს ნათელ ყოფს „ნიუდ ესტის“ სააგენტოს კორესპონდენტის საუბარი ბაუერთან და დეიჩთან. ამ საუბრის შინაარსს გადმოგვცემს „გაზეტა პოლსკას“ ვენელი კორესპონდენტი. ოტო ბაუერმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობდა დოლფუსის მთავრობასთან საერთო ფრონტის შექმნას ნაციონალ-სოციალისტებისაგან თავის დასაცავად. ბაუერის სიტყვით, გასული წლის აპრილამდე სოციალ-დემოკრატებს უშუალო კონტაქტი ჰქონდათ კანცლერ დოლფუსთან, რომელიც მათ ხიბლავდა შეთანხმების პერსპექტივებით. აპრილიდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. დოლფუსმა უარყო სოციალ-დემოკრატ ბელადების ყველა წინადადება და შესწყვიტა მათთან ყოველგვარი მოლაპარაკება. ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა რესპუბლიკის პრეზიდენტს მიკლასს მიმართეს თხოვნით შუამავლობის შესახებ. მიკლასმა ვითომდა, განაცხადა, რომ მას ძალიან აწუხებს ამბების მსვლელობა, მაგრამ არ ძალუძს მათი თავიდან აცილება. სოციალ-დემოკრატიის ბელადები ამით არ დაკმაყოფილდნენ. მათ მიმართეს კათოლიკურ სამღვდელოებას. ვენის არქიეპისკოპოსთან ინიცერთან გაგზავნეს დელეგაცია რამდენიმე „მორწმუნე სოციალისტის“ შემადგენლობით. ბოლოს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ყველა შუამდგომლობა დოლფუსთან კომპრომისის შესახებ, ოტო ბაუერმა განაცხადა: „ჩვენ ყოველივე ღონე ვიხმარეთ დოლფუსთან კომპრომისის გამოსანახავად. კიდევ მეტი, ჩვენ ვაგრძნობინეთ მას, რომ განსაზღვრულ პირობებში, მზადა ვართ მხარი დავუჭიროთ მთავრობას განსაკუთრებული რწმუნების მიცემას ორი წლის ვადით. მიუხედავად ამისა, დოლფუსმა განაცხადა, რომ არ სურს საუბარი სოციალისტებთან“.

შეეხო რა უკანასკნელი ამბების წინა პერიოდს, ბაუერმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ უკანასკნელ მომენტში გაუგზავნა მთავრობას ორი ემისარი, დაავალა რა მათ გამოენახათ საშუალება მუშების დასამშვიდებლად. მაგრამ ამ ნაბიჯმა ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო.

ულიუს დეიჩმა „ნიუდ-ესტის“ კორესპონდენტს განუცხადა: „როცა ლინცში დაიწყო ბრძოლა, სოციალისტები ვენაში ჯერ კიდევ ცდილობდნენ მშვიდობიანობის დაცვას“ (ტას).

### სოციალ დემოკრატიული „მუშათა სახლები“ დაიკავეს ხეიმვერელებმა

**ვენა, 22 თებერვალი.** „ნეიეს ვინერ აბენდბლატი“ იუწყება, ბრუკიდან, რომ რეფორმისტულ პროფკავშირების სახლი ბრუკეში დაიკავა ხეიმვერმა და გადააქცია ყაზარმად ხეიმვერის რაზმებისათვის. ინსბრუკის გარეუბანში ამავე მიზნით დაიკავეს ორი სოციალ-დემოკრატიული „მუშათა სახლი“ (ტას).

### საფრანგეთის კომპარტია აწყობს მუშათა და გლეხთა მიტინგს

**პარიზი, 22 თებერვალი.** საფრანგეთის კომპარტია 1 მარტს პარიზში აწყობს დიდ ანტიფაშისტურ მუშურ-გლეხურ მიტინგს. იმ ორატორებს, შორის, რომლებიც ამ მიტინგზე გამოვლენ, არიან: **რენო ჟანი, მარსელ კაშენი, ანდრე მარტი და რაკამონი.** „ლუმანიტემ“ დაბეჭდა ანდრე მარტის მიმართვა, რომელიც მოუწოდებს მუშებს და გლეხებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ მიტინგში.

„პარიზის კომუნის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი, — **წერს ანდრე მარტი,** — იყო ის, რომ ბურჟუაზიამ შესძლო აემხედრებია გლეხები კომუნის წინააღმდეგ. ახლა, როცა ფართო პროლეტარული მასები აჩაღებენ ბრძოლას ფაშიზმის და ფაშიზირებულ მთავრობის წინააღმდეგ, უაღრესად მნიშვნელოვანი, რათა მშრომელმა გლეხებმა იცოდნენ, რომ პროლეტარიატი წარმოადგენს მათ ერთადერთ მოკავშირეს, რომელსაც შესწევს უნარი გაათავისუფლოს ისინი კულაკების და სხვა კაპიტალისტების კაბალისაგან. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ პარიზის რაიონის სასოფლო-სამეურნეო მუშები და მშრომელი გლეხები გამოცხადდებიან მიტინგზე, სადაც ისინი შეხვდებიან ფაშიზმის წინააღმდეგ 5, 7, 9 და 12 თებერვალს გამოსულ გმირ პროლეტარულ მებრძოლებს“ (ტას).

### ფაშისტური ტერორის მსხვერპლთათვის დახმარების ორგანიზაცია

**პარიზი, 22 თებერვალი.** რემედასის ევროპის ბიურომ იმ მიზნით, რომ დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს დახმარება ავსტრიაში ფაშიზმის წინააღმდეგ აჯანყების მსხვერპლთა ოჯახებს, პოლიტიკურ პატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს, გადასწყვიტა 1) მოაწყოს პარიზში კომიტეტი ყველა ქვეყანაში დახმარების კამპანიის კოორდინაციისა და სახსრების კონცენტრაციისათვის; 2) გაიღოს პირველი თანხა 10 000 ფრანკის რაოდენობით დახოცილთა ქვრივებისა და ობლებისათვის დახმარების გასაწევად; 3) ჩაატაროს 18 მარტს — რემედასის საერთაშორისო დღეს — სახსრების შეგროვება; 4) შექმნას ქალთა სპეციალური კომიტეტი სახსრების შესაგროვებლად; 5) შეიტანოს 5 ათასი ფრანკი საერთაშორისო იურიდიულ ასოციაციაში რომელმაც გადასწყვიტა ვექილების გაგზავნა ავსტრიაში დაპატიმრებული მუშების დასაცავად. რემედასის ევროპის ბიურო მოუწოდებს ყველა ანტიფაშისტურ ორგანიზაციას და მშრომელებს, კერძოდ, სოციალისტ მუშებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახსრების შეგროვებაში — 18 მარტს.

სამმა კომუნარმა — ანდრიემ, პერიემ და ფილიპმა „ლუმანიტეში“ გამოაქვეყნეს მოწოდება რემედასის მიერ მოწყობილ კამპანიაში მონაწილეობის მიღების შესახებ ავსტრიის ფაშიზმის იმ მსხვერპლთა დასახმარებლად, რომლებიც დაიღუპენ იმ „საქმისათვის, რაც საბჭოთა კავშირში იმარჯვებს“ (ტას).

### შეწყდა პენსიების და დახმარების გაცემა

**ვენა, 22 თებერვალი.** როგორც ვენის გაზეთი „ტელეგრაფი“ იუწყება, იმის გამო, რომ დოლფუსის მთავრობამ კონფისკაცია უყო რეფორმისტული პროფკავშირების ქონებას. შეწყდა უმუშევართათვის დახმარების და მოხუცებისა და ინვალიდებისათვის პენსიების მიცემა, აგრეთვე დახმარების გაცემა ავადმყოფობის გამო, ვინაიდან მთელ ამ ქონებას დადებული აქვს ყადაღა 6 თვის ვადით (ტას).

## საიდუმლოებით მოცული მკვლელობა
### სტავისკის აფეროსთან დაკავშირებით

**მოსკოვი, 23 თებერვალი, (საქ. კორესპ.)** „იზვესტიას“ პარიზელი კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება:

სტავისკის „თვითმკვლელობამ“ საკმაოდ დაამშვიდა ბევრი პოლიტიკური მოღვაწე და უმაღლესი მოხელე, ვინაიდან სტავისკას შეეძლო სასტიკად ემხილებია მათი [illegible] და დეპუტატ ბონორის „ავად-გახდომა“ ახლა [illegible] აღმოჩნდა მოშინაკებისათვის, როგორც ირკვევა, ბონორის როლი ამ საქმეში განისაზღვრება იმით, რომ მას სტავისკისაგან მიუღია 20 მილიონი ფრანკი, ალბათ ის იყო ის კავშირთა მთავარი გამანაწილებელი, რომლებითაც სტავისკი აწარმოებდა მექრთამეების მოსყიდვას. ბონორის ავადმყოფობა იმდენად საეჭვოა, რომ პოლიციელებმა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ თვალყური ედევნებიათ მისთვის ჰოსპიტალში, მოითხოვეს გადაეცათ მათი ფუნქციები ჟანდარმებისათვის, რათა თავიდან მოეხსნათ პასუხისმგებლობა შესაძლებელი „მოულოდნელობისათვის“.

ამჟამად, სტავისკი მოკვდა, ხოლო ბონორი, თუმცა იგი უკვე შეპყრობილია, თუ ის მალე გაანთავისუფლეს, თითქმის მკვდარია. სტავისკის აფერის შესახებ მეტი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი უკვე მოპარულია. მაგრამ [illegible] დარჩენილია ზოგიერთი [illegible] ზოგიერთი მოწმე, რომელთაც შეუძლიათ სტავისკის თანამონაწილეთა შეშფოთება. მათთვის ყველაზე უფრო საშიში იყო სასამართლოს ფინანსიური სექციის მთავარი მრჩეველი პრენსი, და სწორედ მაშინ როცა საქმე უკვე სკანდალის ხასიათს ღებულობდა, [illegible] ავტომობილის კატასტროფის დროს [illegible] დაიღუპა პრენსი, რომელიც სტავისკის საქმეს სისტემატიურად ადევნებდა თვალყურს. მაგრამ გუშინ პრენსი შეიტყუეს ხაფანგში დიჟონის ახლომახლოდ საეჭვო [illegible] ტრაგიკულ პირობებში.

ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ პრენსის სიკვდილი არის კიდევ ერთი ახალი რგოლი იმ ბოროტმოქმედებათა შორის, რომელთა პირველ რგოლებს წარმოადგენენ სტავისკის სიკვდილი და ბონორის „ავადმყოფობა“. 20 თებერვალს დილით ვიღაც უცნობმა ტელეფონით გამოიძახა პრენსი და მოგონილი საბაბით დაიბარა დიჟონში. თითქოს მისი დედა მძიმედ გამხდარიყოს ავად. პრენსი დაუყოვნებლივ გაემგზავრა დიჟონში. საღამოს მისმა ოჯახმა მიიღო დამამშვიდებელი შინაარსის ყალბი დეპეშა დიჟონის ხელისმოწერით. შუაღამისას რკინის გზაზე დიჟონის მახლობლად იპოვეს პრენსის საშინლად დასახიჩრებული გვამი. გვამი დაუდვიათ ლიანდაგზე, რომ შექმნათ უბედური შემთხვევის შთაბეჭდილება. გვამის ახლოს ეგდო პორტფელი, რომლითაც პრენსმა სიფრთხილისათვის თან წაიღო მის მიერ დამზადებული მოხსენება გენერალური პროკურორის კომისიაში წარსადგენად. ეს მოხსენება პორტფელიდან გაქრა. ამრიგად გაქრენ ბოროტმოქმედთათვის ყველაზე უფრო საშიში მოწმეები სტავისკის საქმეზე.

სტავისკის საიდუმლოებას ინახავენ როგორც სახელმწიფო საიდუმლოებას.

# საბჭოთა კავშირში

## ვანხორციელებთ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს

### დნეპროპეტროვსკის ოლქი

**დნეპროპეტროვსკი, 22 თებერვალი.** შესდგა უკრაინის კ. პ. (ბ) დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელების შესახებ. პარტიული მუშაობის გარდაქმნის ამოცანების საკითხზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ხატაევიჩი. პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც დასახულია კონკრეტული ღონისძიებები ოლქის პარტორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნისათვის (ტას).

### დონის ოლქი

**სტალინო, 22 თებერვალი.** გაიხსნა უკრაინის კ. პ. (ბ) დონის საოლქო კომიტეტის მეორე პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ამხ. ზატონსკი, დღის წესრიგში დასმულია საკითხი საგაზაფხულო თესვის მომზადების შესახებ და საორგანიზაციო საკითხები. პირველ საკითხზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ივანოვი (ტას).

### გორკის მხარე

**გორკი, 22 თებერვალი.** საკ. კ. პ. (ბ) გორკის სამხარეო კომიტეტის პლენუმის საბოლოო სხდომამ, რომელიც შესდგა გუშინ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ჟდანოვის მონაწილეობით, გორკის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. პრამნეკი, მეორე მდივნად ამხ. სტოლიარი (ტას).

## წითელი არმია ფხიზლად დგას სოცმშენებლობის სადარაჯოზე

### ხაბაროვსკის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა

**ხაბაროვსკი, 22 თებერვალი.** მთელი მხარის წარმომადგენლები, რომლებიც ჩამოვიდნენ შორეულ აღმოსავლეთის სამხარეო აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმზე, ოქროს, [illegible], ქარხნების, კოლმეურნეობების წარმომადგენლები და ხაბაროვსკის საქალაქო საბჭოს წევრები, დღეს შეიკრიბნენ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიძღვნილია მუშურ-გლეხური წითელი არმიის მე-16 წლისთავისადმი. მქუხარე ოვაციებით და „ვიშას“ ძახილით კრება საპატიო თავმჯდომარედ ირჩევს პარტიის და მუშათა კლასის ბელადს ამხ. სტალინს.

წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენებით გამოვიდა შორეულ აღმოსავლეთის წითელდროშოვანი განსაკუთრებული არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი ამხ. **არონშტამი.** მომხსენებელმა, რომელსაც ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას ტაშით, ილაპარაკა საზღვრების დაცვის შესახებ, იმის შესახებ, რომ არმია მზად არის საჭირო მომენტში გამანადგურებელი პასუხი გასცეს ყოველგვარ ცდას შელახონ საბჭოთა კავშირის საზღვრების ხელშეუხებლობა.

„ათი წლის წინათ, — სთქვა ამხ. არონშტამმა, — პარტიამ ამხ. სტალინის პირით ლენინის კუბოსთან დასდო ფიცი, რომ განამტკიცებს წითელ არმიას. ეს ფიცი შესრულებულია. ჩვენ არ მივისწრაფვით ომისაკენ ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწები, ჩვენ ვიბრძვით მშვიდობიანობისათვის. ხოლო თუ მტერი გაბედავს თავს დაესხას ჩვენს საზღვრებს, იგი გამოსცდის ჩვენს ძალას. იგი იხილავს, თუ რას ნიშნავს ბოლშევიკებთან და მათ არმიასთან შებრძოლება. შორეულ აღმოსავლეთის შეიარაღებული ძალები ფხიზლად დგანან მშვიდობიანი შრომის და სოციალიზმის მშენებლობის სადარაჯოზე“.

საზეიმო სხდომას პატაკებით მიმართეს შორეულ აღმოსავლეთის წითელდროშოვანი განსაკუთრებული არმიის ნაწილებმა და ქალაქის მუშებმა. კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხ. სტალინს, ვოროშილოვს, შორეულ აღმოსავლეთის წითელდროშოვანი განსაკუთრებული არმიის და შორეულ აღმოსავლეთის საზღვაო ძალთა რევოლუციურ სამხედრო საბჭოს (ტას).

## ქარიშხალი შავ ზღვაზე

**ნოვოროსიისკი, 22 თებერვალი.** შავ ზღვაზე მეორე დღეა მძვინვარებს ძლიერი ქარიშხალი, რომელსაც თან სდევს კოკისპირული წვიმა და ქუხილი, რაც არაჩვეულებრივი მოვლენაა წელიწადის ამ დროისათვის. ბევრი გემი თავს აფარებს ნავსადგურებში. სამგზავრო თბომავლები „გრუზია“ და „ლენინი“, რომლებსაც ქარიშხალმა ზღვაში მოუსწრო, განაგრძობენ გზას ნავსადგურებში შეუვლელად. გემი „ლენინგრადი“ ტარხანკუტის შუქურის ახლობლად წყალქვეშა ქვებზე შეჯდა (ტას).

## 1 მარტი დასასვენებელი დღეა

### საკავშირო პროფსაბჭოს განმარტება

**საკავშირო პროფსაბჭო იუწყება, რომ, ს.ს.რ.კ-ის სახკომსაბჭოს 1931 წლის 21 ნოემბრის დადგენილების თანახმად (1931 წ. კანონთა კრებული, № 67, მუხლი 419), ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე გადასულ დაწესებულებათა მუშაკებს, თებერვლის დამლევს გამოსასვლელი დღის ნაცვლად (30 რიცხვის ნაცვლად), გამოსასვლელი დღე ეძლევათ 1 მარტს.**

საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი

ბ. ვეინბერგი.

## გაიხსნა საქ. მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედი საზოგადოების მე-4 ყრილობა

23 თებერვალს, საღამოს, ტფილისში გაიხსნა საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედი საზოგადოების (მეშმის) მეოთხე რესპუბლიკური ყრილობა. ყრილობის მუშაობისა და მის წინაშე გადასაწყვეტად მდგარი ამოცანების შესახებ, სხდომის გახსნისას სიტყვით გამოვიდა საქ. მეშმის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მ. მარკმანი.**

ყრილობის გახსნას დაესწრო და მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა, საქ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ფ. მახარაძე,** რომელსაც ყრილობის დელეგატები მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ. ამხ. ფ. მახარაძე არჩეულ იქნა საქ. მეშმის საბჭოს საპატიო წევრად. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მშრომელ ებრაელთა შორის მომუშავე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. საქ. მეურნეთა კავშირის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **ბ. ელენტი,** ფოთის მტვირთავი მუშების სახელით — მტვირთავი მუშა — ამხ. **შიკაშვილი,** წითელგორის კოლმეურნეების სახელით — კოლმეურნე ებრაელი ქალი — ამხ. **კრიხელი,** ტფ. დეპოს საშეფო სართოქლმავლო ბრიგადების სახელით — ამხ. **დუმბროვი** და სხვ.

პირველ სხდომაზევე ყრილობამ მოისმინა მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედი საკავშირო საზოგადოების ცენტრ. საბჭოს მდივნის ამხ. ეიდელმანის საანგარიშო მოხსენება.

## მარგანეცი

### 22 თებერვალს მარგანეცის ამოღების გეგმა შესრულდა 86,6 პროც. გარეცხვის — 75,4 პროც.

| | ამოღება (ტონობ.) | | | გარეცხვა (ტონობ.) | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დავალება | შესრულება | % | დავალება | შესრულება | % |
| ს უ ლ | 3.710 | 3.215 | 86,6 | 1.988 | 1.499 | 75,4 |

## ქვანახშირი

### 22 თებერვალს ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულდა 101,3 პროც.

| | ამოღება (ტონობით) | | |
|---|---|---|---|
| | დავალება | შესრულება | % |
| ს უ ლ | 1.042 | 1.056 | 101,3 |

## საბჭოთა კავშირი და იაპონია

### ამხ. იურენევის საუბარი საგარეო საქმეთა მინისტრ ხიროტასთან

**მოსკოვი, 23 თებერვალი (საქ. კორესპ.).** გუშინ ტოკიოში გაიმართა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის იაპონიაში ამხ. **იურენევის** საუბარი იაპონიის **საგარეო საქმეთა მინისტრ ხიროტასთან.** იაპონიის დეპეშათა სააგენტო, ეყრდნობა რა ავტორიტეტულ წყაროებს, აღნიშნავს, რომ ამხ. იურენევმა აცნობა ხიროტას საბჭოთა მთავრობის პირობები აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ექვსი საბჭოთა მოსამსახურის დაპატიმრების გამო შექმნილი კონფლიქტის მოსაწესრიგებლად, აგრეთვე მათი მოადგილეების დანიშვნის პირობები. ხიროტა, სააგენტოს სიტყვით, დათანხმდა ამ პირობებზე.

სააგენტო შემდეგ აღნიშნავს: ამხ. იურენევმა კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა განაახლოს კონფერენცია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გაყიდვის საკითხზე ექვსი დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქის განთავისუფლების შემდეგ. ხიროტა, სააგენტოს სიტყვით, შეპირდა, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებას გადასცემს მანჯოუგოს მთავრობას.

## საფრანგეთის მთავრობის საფინანსო კანონპროექტი მიმართულია მშრომელების წინააღმდეგ

**პარიზი, 23 თებერვალი.** დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული 1934 წლის ბიუჯეტის მუხლები ითვალისწინებენ ახალი გადასახადების შემოღებას, სახელმწიფო მოსამსახურეთა შრომის ხელფასის შემცირებას და დახმარების შემცირებას უმუშევრობისა და ინვალიდებისათვის. მშრომელთა ფართო ფენებს მძიმე ტვირთად აწვება 10 პროცენტიანი გადასახადის შემოღება შემოსავალზე და გადასახადების გადიდება გაზზე და ელექტრონზე, ომის მოხუცებულ მონაწილეთათვის დახმარების შემცირება, ღარიბთათვის დახმარების შეკვეცა და სხვ. ამავე დროს, პალატამ მემამულეებს ერთი მუხლით გაუდიდა კრედიტები პურის ფასების დაცემის გამო მიღებული ზარალის ანაზღაურების სახით და დაამტკიცა ახალი კრედიტები [illegible] შესანახად.

კამათში არაერთხელ გამოვიდნენ კომუნისტი დეპუტატები, რომლებიც სასტიკად აკრიტიკებდნენ მთავრობის საფინანსო კანონპროექტს. კომუნისტმა კაპრონმა განაცხადა, რომ მთავრობა ცდილობს მიაღწიოს ეკონომიას მოსახლეობის უღარიბესი ფენების ხარჯზე, ართმევს რა მათ არსებობის უკანასკნელ სახსრებს (ტას).

**პარიზი, 23 თებერვალი.** ბიუჯეტის განხილვა ცხადჰყოფს საფრანგეთის სახელმწიფო ფინანსების მძიმე მდგომარეობას. პარლამენტში აშკარად გაისმოდა ხმები ინფლიაციის განვითარებაში გადანახული მილიარდების ამოღების ღონისძიებათა და სახელმწიფო სესხების კონვერსიის (პროცენტების შემცირება და პირობების გაუარესება) სასარგებლოდ. კომუნისტებმა რენო ჟანმა და კლამამუსმა გააკრიტიკეს მთავრობის კანონპროექტი და მოითხოვეს მსხვილი კაპიტალისტების მოგებათა დაბეგვრის გაძლიერება. შეტანილ იქნა წინადადება პროექტიდან ზოგიერთი იმ მუხლის გამოყოფის შესახებ, რომლებიც ითვალისწინებს სოციალური ხარჯების შემცირებას. მთავრობამ გაილაშქრა ამის წინააღმდეგ და დასვა ნდობის საკითხი. პალატამ 440 ხმით 150 ხმის წინააღმდეგ უარყო წინადადება და ნდობა გამოუცხადა მთავრობას (ტას).

## ბულიტი გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში

**ლონდონი, 22 თებერვალი.** რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში, ბულიტი, რომელიც მოსკოვისაკენ მიემგზავრება, ჩავიდა პლიმუტში (ინგლისის ნავთსადგური) (ტას).

## მოელიან საბჭოთა კავშირის შეკვეთებს

**ნიუ-იორკი, 21 თებერვალი.** ამერიკელ მრეწველთა საექსპორტო ასოციაცია იუწყება, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების 500-ზე მეტი კომპანია ცდილობს საბჭოთა დაკვეთების მიღებას.

ბევრი ფირმა მოუთმენლად ელის მთავრობის „საექსპორტო-საიმპორტო ბანკის“ გახსნას (ტას).

## „დიმიტროვის სახელობის კომიტეტი“

**ლონდონი, 22 თებერვალი.** დაარსდა დიმიტროვის სახელობის კომიტეტი ლეიპციგის პატიმართა განთავისუფლებისთვის. კომიტეტში შედის [illegible] გამოჩენილი წარმომადგენელი, მათ შორის ცნობილი ეკონომისტი ჰობსონი, და მთელი რიგი გამოჩენილი პროფესორები, ლიტერატორები და მსახიობები. 23 თებერვალს კომიტეტი იწვევს საპროტესტო კრებას გერმანიის ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ (ტას).

## ინტრიგები სინძიანის პროვინციაში

**რომი, 20 თებერვალი.** „რეჯიმე ფაშისტა“ იაპონიის ინტრიგებს სინძიანში ხსნის იმით, რომ იაპონია ცდილობს დაეუფლოს საბჭოთა ნავთის წყაროებს შუა აზიაში. იაპონიის მიერ მოსყიდული თურქი პრინცი აბდულ ქერიმი სათავეში უნდა ჩასდგომოდა ახალ „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოს, რომელიც შეიქმნებოდა იაპონელების მიერ ინსპირირებული აჯანყების შედეგად. იმ გარემოებამ, რომ ჩინელი მთავრობის ჯარმა დაამარცხა აჯანყებულები, ხელი არ შეუშალა იაპონელებს სინძიანში მოეწყოთ თავისი გეგმები. აჯანყებულთა მეთაური გენერალი მა ჯუნინი, კვლავ დაუკავშირდა იაპონელ ოფიცრებს ახალი აჯანყების მოსამზადებლად (ტას).

## იაპონიის თვითმფრინავების კატასტროფა

**ტოკიო, 23 თებერვალი.** სამხედრო თვითმფრინავების [illegible] გადაფრენა ხეიძოდან (კორეა) ომურაში (იაპონია, სასებოს მახლობლად) დიდი კატასტროფით დამთავრდა. ორი გამანადგურებელი გაფრენისთანავე ნისლში დაეტაკა კლდეს და დაიმსხვრა. თვითმფრინავები დაიწვა. დაიღუპა 5 პილოტი. ერთი მძიმედ დაშავდა. დანარჩენი თვითმფრინავები უკან დაბრუნდნენ ხეიძოში. დაშვების დროს ორი [illegible] გამანადგურებელი დაზიანდა. უკანასკნელ კვირაში დაიღუპა 14 სამხედრო პილოტი (ტას).

## ქრონიკა

### ნ. გოცირიძის იუბილე

ს.ს.ს. რ-ის სახალხო არტისტ კოტე მარჯანიშვილის თეატრში 27 თებერვალს გაიმართება ს.ს.ს.რ-ის სახალხო არტისტის ნიკო გოცირიძის სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე.

### საზეიმო საღამო განათლების მუშაკთა სახლში

24 თებერვალს განათლების მუშაკთა სახლში საღამოს, 7 საათზე საბჭოთა საქართველოს 13 წლის და წითელი არმიის 16 წლისთავის აღსანიშნავად შესდგება საზეიმო საღამო.

### მარქსისტულ-ლენინური ხელოვნებათმცოდნეობა

24 თებერვალს მხატვართა კავშირის შენობაში (რუსთაველის 10) დღის 3 ს. შესდგება ამხ. ა. დუდუჩავას მორიგი მოხსენება ციკლიდან — „მარქსისტულ-ლენინური ხელოვნებათმცოდნეობა“. დასწრება მხატვართათვის სავალდებულოა.

## პარტკალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპში (ოთახ. № 10) 24 თებერვალს დღის პირველ საათზე სასწრაფოდ გამოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ვალერიან ხუციშვილი, ილია გვეტაძე, სიმონ მებუკე, სოლომონ რუსუა, ივანე ებანოიძე, ივანე გუგუშვილი, დავით მუჯირიშვილი, სოკრატ მებლიშვილი, სოსო რიჟინაშვილი, ალექსანდრე კვაჭაძე, დავით ბოლქვაძე, ვარლამ გოშვეანიძე, რაფიელ კვირკველია, ვლადიმერ კოდუა, ევგენი უბირია, ამბროსი ვაჭრილაძე, სერგო გაშვევი, დავით ჩობალიაშვილი, გრიგოლ ჯინცაძე.

სახ. ოპერა

24 თებერვალს 3 აბონ. 10 წარმ. ა ლ ი

25 თებერვალს 5 აბონ. 10 წარ. პიკის ქალი

26 თებერვალს 7 აბონ. 10 წარ. 1. კოპელია 2. დივერტისმენტი

1-ლ მარტს [illegible] 1. კოპელია, 2. დივერტისმენტი. [illegible] აბონენტები, რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მეშვიდე და [illegible] ერთი დღით ადრე, წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

წარმოდგენის დასაწყისი საღ. ზუსტ 8 საათზე.

---

25 თებერვალს აბონ. გარეშე ანზორ

26 თებერვალს 6 აბონ. 6 წარ. ანზორ

27 თებერვალს 7 აბონ. 6 წარ. ანზორ

[illegible] თებერვლიდან მე-6 [illegible] სავალდებულო [illegible] თეატრის ან „ბორზის“ სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე.

სალარო ღიაა 11—2 [illegible] საღ. დასაწყისი 8 ს.

---

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

24 თებერვალს 11 აბონ. 5 წარ. ო ტ ე ლ ო

25 თებერვალს აბონ. გარეშე ნინოშვილის გურია

27 თებ. უფ. ბილეთ. გაუქმებულია ნიკო გოცირიძის იუბილე

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სალარო ღიაა დილის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.

ის აბონემენტები, რომელთაც არ ექნებათ გადახდილი აბონემენტის მთელი ღირებულება წარმოდგენებზე დაშვებული არ იქნებიან

---

რუსთაველის თეატრი

სანდრო ახმეტელის

ხელმძღვანელობით 1933/34 წ. სეზონი.

25 თებერვალს

საბჭოთა საქართველოს 13 წლისთავის აღსანიშნავად

საზეიმო წარმოდგენა

„ანზორ“

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11-დან 2 საათამდე, 6 საათ. 9 საათამდე.

დასაწყისი 8 საათზე.

ნ. 38

---

[illegible] ახალგაზრდობა სეანსები 7-30, 9, 10-30.

მხატ. სურ. იბრაგიმ და გოლდრიძე სეანსები [illegible] 10-30.

მხატვრული სურათი რ ე ვ ი ზ ო რ ი სეანსები 6, 7-30, 9, 10-30.

ხმოვანი ფილმი დიდი ტოკიო სეანსები 6, 7-30, 9, 10-30.

ქალაქი დარტყმის მუქარის ქვეშ სეანსები [illegible] 8-30, 10-30.

ბ. სურ. ამბოხება [illegible] სეანსები [illegible] 10

ბრძოლა მზად ყოფნ. გამოცდა სეანს. 8, 9-30.

[illegible] ფინჯანი ჩაი სეანსები 12, 1-30

შ. ა. ბ. ა. [illegible] სეანსი დილის 10 საათიდან

---

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

27 თებერვალს

რესპუბლიკის სახალხო არტისტის

ნიკო გოცირიძის

40 წლის იუბილე

I. მზის დაბნელება საქართველოში 1-ლი მოქმ.

II. ხ ა ნ უ მ ა მე-2 და მე-4 მოქ.

III. მ ი ლ ო ც ვ ე ბ ი.

დასაწყისი საღ. ზუსტ 8 საათზე

უფასო ბილეთები გაუქმებულია

31 ნ. საიუბილეო კომისია.

---

განცხადება

ტფილისის რკინის გზის ს. ა. ლ. კ. კ. სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა აწარმოებს მოწაფეთა მიღებას ელექტრო. შემდუღებელ ჯგუფში (ქართული სექტორი). მიიღებიან ორთავე სქესის მოზრდილნი 15-დან 20 წლამდე შვიდ წლედ დამთავრებულნი.

ამავე სკოლასთან იხსნება ორი 6—თვიანი მოსამზადებელი („დოსაუფი“) ქართული და რუსული სექტორი. მოსამზადებელ ჯგუფში მიიღებიან მოზრდილნი ორივე სქესისა 15-დან 18 წლამდე 5—6 ჯგუფ დამთავრებულნი.

ყველა ჩარიცხული მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, მომზადდებიან წარმოების სათანადო პროფესიების მუშაობის თანახმად და ჩარიცხულნი იქნებიან რკინის გზელთა კავშირში.

სკოლასთან არსებობს დახურული სასადილო, დახურული განმანაწილებელი და ფეხსაცმელების შესაკეთებელი სახელოსნო.

განცხადების შემომტანები გატარდებიან ფსიხო-ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში და გაივლიან წინასწარ მისაღებ გამოცდებს.

მისაღებისათვის განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა, 2. დაბადების, 3. სოციალური მდგომარეობის, 4. ორი ფოტო-სურათი, 5 ჯანმრთელობის აცრის მოწმობა.

განცხადების მიღება სწარმოებს ყოველ დღე სკოლის კანცელარიაში 25 თებერვლამდე გარდა გამოსასვლელი დღეებისა, დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდე.

მეცადინეობა დაიწყება ელექტრო. შემდუღებელ ჯგუფში, 1 მარტიდან და მოსამზადებელ ჯგუფში კი 15 მარტიდან

მისამართი: ლენინაიონი, 1905-წლის რევოლუციის ქ. № 204 (ტრამვაი № 15)

ადმინისტრაცია

---

მინდა ვიყიდო

პიანინოს სკამი

იკითხეთ გაზეთ „კომუნისტ“-ის კანტორაში, განცხადებების განყოფილებაში.

---

ექიმი

ვ. ფ. ოთხმეზური

ქირურგიული სნეულებანი

მიღება საღ. 5—7 საათამდე.

მისამართი—გრიბოედოვის ქ. № 19 455

---

ექ. ს. გ. დილბანძე

[illegible] სნეულებანი, [illegible]

მიღ. დილით 9—10 ს., საღ. 6—9 ს. თეატრალური შეს. № 11 ტფ. საბ. ოპერის თეატრის გვერდით.

1—10 1430

---

ექიმი

კ. ჯაღალოვა

[illegible] „914“. [illegible] მიღება: [illegible] 9—10 დილ., 7—9 საათამდე საღ., [illegible] 10—11 ს. დილით. მისამართი: კამოს ქუჩა № 19. ტელეფონი: 29—58.

---

ექიმი

ა. ა. ქეთევანი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფ. [illegible] დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს.

მისამართი კამოს ქ. № 72 (ყ. დიდი მთავრის ქ.) ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ.

51—1

---

საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედი სხ. საქართველოს მე-4

რესპუბლიკური

ყრილობა

გაიხსნება ა/წ. 23 თებერვ., საღამოს 7 საათზე, წითელი არმიის სახლის სალექციო დარბაზში (რუსთაველის პროსპ., № 10) საღამოს ზუსტად 6 საათზე იგივე დარბაზში შესდგება [illegible] ნ. 86

---

2 თებერვალს დაიკარგა 9 წლის ვაჟი ვალოდია იოსების-ძე ჩაჩავა

[illegible] წითელი ხალათი, თეთრი შარვალი, შავი პალტო, წითელ არმიელის შავი ქუდი. [illegible] მეორე სართული [illegible]

---

თანახმად საქ. სახკომსაბჭოს 1930 წლის 17 ივლისის თარიღით № 223 დადგენილებისა, ტფილისის საბჭოს მმართ. ბიურო აცხადებს [illegible] შემოტანილი აქვს განცხადება თავის გვარის და სახელის [illegible] გვარზე და სახელზე ალექსანდრე ხატიაშვილზედ გამოცვლის შესახებ. 154

---

სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტი

აცხადებს,

რომ ინსტიტუტში 1-ლ კურსზე ყველა ჩარიცხულები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ აღრიცხვაში გახანგრძლივებით 28 თებერვლამდე. მეცადინეობა დაიწყება 2 მარტს.

დირექცია.

---

საქ. თ./ავიაქიმის ოპერატიული — განმანაწილებელ სარდაფთა ტრესტს ესაჭიროება დროებითი

ინკასატორები.

მისამართი ქ. ტფილისი, პლეხანოვის პროსპ. № 67.

დირექცია

---

ამ [illegible] დიდი კატო, [illegible]

კოტე იოსების-ძე პატარქალაშვილის

[illegible] ბათომის ქ. № 20 დაკრძალვა 4 თებერვ. 4 ს [illegible] სასაფლაოზე. 13

---

[illegible] მშობლები [illegible]

კოტე იოსების-ძე პატარქალაშვილის

[illegible] ბათომის ქ. № 20. დაკრძალვა 24 თებერვალს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1

---

დამწუხრებული ძმა ცოლით მარუსათი, შვილებით: ოსიკო, [illegible] პატარქალაშვილები დებით

კოსტა იოსების-ძე პატარქალაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 24 თებერვალს, ბათომის ქ. 20, 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე. 1140

---

სამსონ მიხეილის ძე სულაკაური მწუხარებით აუწყებს ნაცნობ-მეგობრებს და ამხანაგებს საყვარელი ძმის

როჟანოზ (ოზო) სულაკაურის

გარდაცვალებას სოფ. ფერსათში (მთათუშეთი). 1149

---

დამწუხრებული შვილები: ეფროსინე, ვარლამ, ქრისტინე; რძლები: გოგუცა, ფაცია; შვილიშვილები: შოთა, ოთარი, კარლო ცქიტიშვილები აუწყებენ

ილია დიმიტრის-ძე ცქიტიშვილის

გარდაცვალებას. სამოქ. პანიშვილი 24 თებერვალს, 7 ს. რიყის ქ. 83, დასაფლავება 25 თებ. 4 ნახევარ საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 1153

---

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის საღამოს ცვლის მეორე კურსის მე-4 ჯგუფის სტუდენტები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე კურსის სტუდენტ

ალექსი გიორგის ძე დათუაშვილის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ს. ჩუმლაყში. 1156

---

დამწუხრებული ცოლი ნინუცა, ვაჟიშვილები ნიკოლოზ, ემილიანე, ფოკო; ქალიშვილები: ლიდია, ზინა, რძალი აგრაფინა; შვილიშვილები: [illegible] აუწყებენ მათთვის დაუვიწყარი

ბართლომე ხარიტონის-ძე გაგუნიას

გარდაცვალებას. დასაფლავება 28 თებერვალს ხანძთაში. 1155

---

დამწუხრებული ძმა [illegible] ნიკოლო, შვილები: ვარია, თამარი, შურა, [illegible] ცქიტიშვილები [illegible] საყვარელ

ილია დიმიტრის-ძე ცქიტიშვილის

გარდაცვალებას. 517

---

[illegible]

პავლე ივანეს-ძე ჟუჟარაძე

[illegible] 24 თებერვალს

---

სამედიცინო ინსტიტუტის სამკ. [illegible] მე-5 კურსის სტუდენტები [illegible]

გაბრიელ გიორგის-ძე ჩაჩუას

[illegible] დაკრძალვა 27 თებერვალს [illegible] 165

---

[illegible]

მ ა რ ო ს

[illegible] ტფილისში და სამშობლოში ცალკე გამოცხადდება. 164

---

დამწუხრებული ქმარი ვლადიმერი, დედა თინა, [illegible]

მარო დანიელის-ას. კანდელაკის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25 თებერვალს [illegible] 160

---

[illegible] დიდებულ ძე ოჯახიანთურთ [illegible] საყვარელი [illegible]

გიორგი დიმიტრის-ძე დიდებულიძის

[illegible] 24 თებერვალს 4 საათ. [illegible] 161

---

დამწუხრებული მშობლები: გიორგი, ნინა, [illegible]

გაბრიელ გიორგის-ძე ჩაჩუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 თებერვალს [illegible] (სამტრედიის რ.) 160

---

[illegible] თანამშრომლები [illegible]

ლავრენტი ჯანაძის

გარდაცვალების გამო. 158

---

[illegible] შვილი [illegible]

ამბროსი გიორგის ძე ცხაკაიას

უდროოდ გარდაცვალება. სამ. ქალაქო [illegible] საღ. 7 საათიდან [illegible] ქ. № 14.

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქუჩა 68

მთავლიტის რწმუნებული ა 158